ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების კვლევა

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა საქართველოში (ENPARD II)

სოფლის განვითარების საპილოტე ღონისძიებები

(მე-2 ფაზა)

2 მაისი 2018

სარჩევი

შესავალი 3

1. მეთოდოლოგია 4

2. კვლევის შედეგები 5

   2.1. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები 5

   2.2. ერთწლიანი კულტურების წარმოება 6

   2.3. მრავალწლიანი კულტურების წარმოება 24

   2.4. მეცხოველეობა 30

   2.5. საძოვრების მართვა 39

3. დასკვნითი ნაწილი 41

4. რეკომენდაციები (სავარაუდოდ 4 მილიონი ევრო) 45

დანართები 52

   დანართი 1. რესპონდენტების ნუსხა 52

   დანართი 2. განხილული დოკუმენტების ჩამონათვალი 52

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების პოტენციალის შესწავლას ხულოს მუნიციპალიტეტში 2019-2025 წლებისთვის. აღნიშნული კვლევა ჩატარდა ევროპული კომისიის მხარდაჭერით პროგრამა „სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში“ ეგიდით საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის მიერ განხორციელებული „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD) ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის ინსტრუმენტები და ჩატარდა საველე სამუშაოები. შემდგომ, საბოლოო ანგარიშის პროექტი წარედგინა ძირითად დაინტერესებულ მხარეებს ხულოს მუნიციპალიტეტში. უკუკავშირი ვალიდაციის სემინარის შესახებ გათვალისწინებულია საბოლოო ანგარიშში.

კვლევის ანგარიში მოიცავს შემდეგ ქვეთავებს: მეთოდოლოგია, სასოფლო-სამეურნეო მიწის ანალიზი, ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების კვლევა, მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მეცხოველეობა, საძოვრების მართვა, დასკვნები და რეკომენდაციები.

კომპლექსური კვლევითი მიდგომა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სექტორში მიღებული შედეგების სინთეზირების საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიში კარგი შესაძლებლობაა ხულოს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად.

1. მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია ითვალისწინებს: სამაგიდო კვლევას (კვლევის შედეგად უკვე არსებული ინფორმაციის მოპოვება/გაცნობა) და გასაუბრებებს მთავარ ინფორმატორებთან/რესპონდენტებთან (ძირითადი ინფორმანტების ინტერვიუები, Key Informant interviews (KII)). კვლევის საწყის ეტაპზე განხორციელებული სამაგიდო კვლევა და ინფორმაცია გამოყენებული იქნა, როგორც საზომი შემდგომი კვლევისთვის.

შეფასების საჭიროებების მიხედვით, განხორციელდა სამაგიდო კვლევის ორი ტიპის მეთოდი: შიდა და გარე სამაგიდო კვლევა.

შიდა სამაგიდო კვლევის ფარგლებში, განხილული და გაანალიზებული იქნა საპროექტო დოკუმენტაცია.

გარე სამაგიდო კვლევა განხორციელდა ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ ქვეყნის მასშტაბით სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული სპეციალური პოლისებისა და მასალების გათვალისწინებით, რაც წარმოადგენს სამთავრობო სტრატეგიებს ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე, ეროვნულ და საერთაშორისო ანგარიშებს, კვლევებს, სტატისტიკურ ნაშრომებს, პოლისებს და სხვა. მაგალითად:

- საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია (2017-2020);
- საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2015-2020);
- სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკური მონაცემები ხულოს მუნიციპალიტეტსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

სამაგიდო კვლევის შედეგებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთავარ რესპონდენტებთან გასაუბრებების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას.

საველე კვლევა ჩატარდა 2018 წლის 12-15 აპრილს სექტორით დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ხულოს მუნიციპალიტეტსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. KII-ის რესპონდენტებს წარმოადგენდნენ „სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში“ პროექტის გუნდი, ხულოს მუნიციპალიტეტი, რეგიონალური და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები და პარტნიორები, რომელთა გამოკითხვაც ჩატარდა სამაგიდო კვლევის დროს და პროექტის გუნდთან კონსულატაციით.

კონკრეტული რესპონდენტები გამოკითხულები იქნენ პროექტის მენეჯმენტის გუნდთან ერთად. საერთო ჯამში, გასაუბრებები მთავარ ინფორმატორებთან შედგა.

ნახევრად სტრუქტურირებული KII-ის სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავდა ინფორმაციის შეგროვების მიზნით. KII-ის სახელმძღვანელო (პროექტი) მზად იქნება პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე.

ძირითადი ინფორმანტი ინტერვიუებიდან მოპოვებული/შეგროვებული ინფორმაცია წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ კვლევით ანგარიშს. კვლევის ძირითადი შედეგები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილ ქვეთავებში.

2. კვლევის შედეგები

2.1. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები

ხულოს მუნიციპალიტეტში არსებული საოჯახო მეურნეობების ჯამური რაოდენობა შეადგენს 8 753, ხოლო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 21 696 ჰექტარია.

ინფორმაცია მეურნეობებისა და მიწების შესახებ თემების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში 1[1].

ცხრილი 1

№	ადმინისტრაციული ერთეული	მეურნეობების რაოდენობა	მოსახლეობა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა				
				სულ	მათ შორის			
					სახნავი მიწა (ჰა)	მრავალწლიანი მცენარეები (ჰა)	სათიბი მიწა (ჰა)	საძოვრები (ჰა)
1	დაბა ხულო	401	1250	7	6,8	0,2	0	0
2	ფუშრუკაული	290	1454	805	107	2	213	483
3	აგარა	232	962	874	78,5	0,5	219	576
4	საციხური	331	1397	953	101	1	224	627
5	სხალთა	627	3265	1042	255,5	4,5	118	664
6	ვაშლოვანი	946	3143	1206	218	16	144	828
7	ხიხაძირი	462	1754	1217	141,5	5,5	311	759
8	რიყეთი	567	2462	1439	231,2	5,8	239	963
9	თხილვანა	439	1873	1527	116,5	0,5	213	1198
10	დიდაჭარა	605	2528	2061	180	3	406	1471
11	დიოკნისი	1229	4255	2267	375	12	621	1259
12	დეკანაშვილები	1797	6458	2879	340,2	13,3	571,5	1954
13	ღორჯომი	827	3714	5414	294,5	5,5	891	4223
სულ		**8753**	**34515**	**21691**	**2445,7**	**69,8**	**4171**	**15005**

სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილება სხვადასხვა მიზნებისათვის წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული გრაფიკით 1.

[1]სოფლის განვითარების სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, 2018.

გრაფიკი 1[2]



მოცემული მონაცემები გათვალისწინებული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო მიწების დანიშნულების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა, მოვახდინოთ საოჯახო მეურნეობების ძირითადი აქტივობების ანალიზი, კერძოდ:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენების ძირითადი საშუალებაა. ხულოს მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 2 445.7 ჰექტარს შეადგენს;
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი, სადაც მრავალწლიანი კულტურებია გაშენებული, მოიცავს 69.8 ჰექტარს;
3. სათიბი და საძოვარი მიწები მეცხოველეობის განვითარების ძირითადი საშუალებაა საქართველოში; აღნიშნული ფართობი მოიცავს 19 176 ჰექტარს.

განვიხილოთ სასოფლო-სამეურნეო მიწის თითოეული ჩამოთვლილი დანიშნულება.

2.2. ერთწლიანი კულტურების წარმოება

ერთწლიანი კულტურების წარმოება ხულოს მუნიციპალიტეტის თემებში ჩვეულებრივი პრაქტიკაა. თუმცა, არსებობს სხვადასხვა ტიპის პროდუქტი, რომელიც იწარმოება თითოეულ თემში, რაც დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე და ხელსაყრელი საოჯახო მეურნეობების რაოდენობაზე. ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საშუალო ფართობის შესახებ თითოეულ მეურნეობაზე წარმოდგენილია ცხრილში 2.[3]

ცხრილი 2

[2]აქ წარმოდგენილი და წინამდებარე დოკუმენტში მოცემული სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა ნედლი მონაცემების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა სააგენტოს მიერ.
[3]განვითარებისა და ინფორმაციის სამსახური, სოფლის მეურნეობის განვითარების ხულოს ფილიალის დეპარტამენტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, 2018.

№	თემები	მეურნეობების რაოდენობა	მოსახლეობა	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (ჰა)	საშუალოდ თითოეულ საოჯახო მეურნეობაზე (ჰა)
1	***2***	***3***	***4***	***5***	***6***
1	დაბა ხულო	401	1250	6,8	0,02
2	დეკანაშვილები	1797	6458	340,2	0,19
3	ვაშლოვანი	946	3143	218	0,23
4	თხილვანა	439	1873	116,5	0,27
5	დიდაჭარა	605	2528	180	0,30
6	დიოკნისი	1229	4255	375	0,31
7	საციხური	331	1397	101	0,31
8	ხიხაძირი	462	1754	141,5	0,31
9	აგარა	232	962	78,5	0,34
10	ღორჯომი	827	3714	294,5	0,36
11	ფუშრუკაული	290	1454	107	0,37
12	სხალთა	627	3265	255,5	0,41
13	რიყეთი	567	2462	231,2	0,41
სულ		8753	34515	2445,7	0,29

ცხრილი 2 სვეტი 6 მიუთითებს (თითოეული თემის შესაბამისად), თითოეული თემის სახნავი მიწის ნაკვეთის თანაფარდობას მეურნეობების რაოდენობასთან თემში. შესაბამისად, მონაცემები აჩვენებს სახნავ-სათესი მიწების ფართობებს თითოეულ თემში ცალკეულ საოჯახო მეურნეობის სარგებლობაში ან საკუთრებაში.

საოჯახო მეურნეობებთან მიმართებაში, თითოეულ მეურნეობაზე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფართობის დასადგენად, გამოყენებულია საშუალო არითმეტიკული და მედიანა. კერძოდ, კი:

- საშუალო არითმეტიკული - თითოეული თემის მიხედვით ხულოს მუნიციპალიტეტში, შინამეურნეობის საშუალო ფართობი მერყეობს 0.02 ჰექტრიდან 0.41 ჰექტრამდე, რომლის საშუალო არითმეტიკული შეადგენს 0.29 ჰექტარს;
- მედიანა - ამ მეთოდის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი თითოეულ შინამეურნეობაზე მუნიციპალიტეტში საშუალოდ შეადგენს 0.31 ჰექტარს;
- მოდა - აღნიშნული მეთოდის მიხედვით, სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთის საშუალო ფართობი თითოეულ შინამეურნეობაზე მუნიციპალიტეტში შეადგენს ასევე 0.31 ჰექტარს.

ამდენად, როგორც მონაცემები გვიჩვენებს, ხულოს მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფართობი თითოეულ შინამეურნეობაზე 0.29-0.31 ჰექტარს შეადგენს. მონაცემების მიხედვით, არ არსებობს სტატისტიკურად ფუნდამენტური განსხვავება საშუალო არითმეტიკული, მედიანა და მოდა მეთოდებით მიღებულ შედეგებს შორის. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ მუნიციპალურ დონეზე იშვიათია გამონაკლისი შემთხვევები,

როდესაც შინამეურნეობები ფლობენ შედარებით დიდ სახნავ-სათეს ფართობებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუნიციპალიტეტში შინამეურნეობებს არ გააჩნიათ შედარებით დიდი ფართობის (5 ჰექტარზე მეტი) სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთები.

მონაცემების უკეთესად გასაანალიზებლად, თემები 3 სხვადასხვა ჯგუფად დავყავით:

ა) თემები შედარებით ყველაზე პატარა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობით

ცხრილი 3

№	ადმინისტრაციული ერთეული	მეურნეობების რაოდენობა	მოსახლეობა	სასოფლო-სამეურნეო მიწა (ჰა)	საშუალოდ თითოეულ მეურნეობაზე (ჰა)
1	***2***	***3***	***4***	***5***	***6***
1	დაბა ხულო	401	1250	6,8	0,02
2	დეკანაშვილები	1797	6458	340,2	0,19
3	ვაშლოვანი	946	3143	218	0,23
სულ		***3144***	***10851***	***565***	***0,15***

ბ) თემები შედარებით საშუალო სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობით

ცხრილი 4

№	ადმინისტრაციული ერთეული	მეურნეობების რაოდენობა	მოსახლეობა	სასოფლო-სამეურნეო მიწა (ჰა)	საშუალოდ თითოეულ მეურნეობაზე (ჰა)
1	***2***	***3***	***4***	***5***	***6***
4	თხილვანა	439	1873	116,5	0,27
5	დიდაჭარა	605	2528	180	0,3
6	დიოკნისი	1229	4255	375	0,31
7	საციხური	331	1397	101	0,31
8	ხიხაძირი	462	1754	141,5	0,31
9	აგარა	232	962	78,5	0,34
სულ		***3298***	***12769***	***992,5***	***0,31***

გ) თემები შედარებით დიდი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობით

ცხრილი 5

№	ადმინისტრაციული ერთეული	მეურნეობების რაოდენობა	მოსახლეობა	სასოფლო-სამეურნეო მიწა (ჰა)	საშუალოდ თითოეულ მეურნეობაზე (ჰა)
1	***2***	***3***	***4***	***5***	***6***
1	ღორჯომი	827	3714	294,5	0,36
2	ფუშრუკაული	290	1454	107	0,37

3	სხალთა	627	3265	255,5	0,41
4	რიყეთი	567	2462	231,2	0,41
სულ		***2311***	***10895***	***888,2***	***0,39***

თითოეული ჯგუფის დაჯამებული რაოდენობა წარმოდგენილია ცხრილში 6

ცხრილი 6

№	პირობითი ჯგუფი	მეურნეობების რაოდენობა	მოსახლეობა	სასოფლო-სამეურნეო მიწა (ჰა)	საშუალოდ თითოეულ შინამეურნეობაზე (ჰა)
1	***2***	***3***	***4***	***5***	***6***
1	ჯგუფი I	3144	10851	565	0,15
2	ჯგუფი II	3298	12769	992,5	0,31
3	ჯგუფი III	2311	10895	888,2	0,39
სულ		***8753***	***34515***	***2445,7***	***0,28***

მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტის შესაბამის თემებში შინამეურნეობების რაოდენობა და სახნავ-სათესი მიწების ფართობები იზრდება, თუმცა, ეს არ არის მნიშვნელოვანი პროპორციული ზრდა. 3 თემი, რომელიც პირველ ჯგუფს მიეკუთვნება და განლაგებულია ერთ გეოგრაფიულ არეალში, რაც ფარავს დაბა ხულოსა და მიმდებარე სოფლებს, წარმოდგენილია სულ 3 144 ოჯახით; ისინი ფლობენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მხოლოდ 565 ჰექტარს. ამავდროულად, სამ სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მყოფი მეორე ჯგუფის თემები წარმოდგენილია 3 298 ოჯახით (154 შინამეურნეობით მეტი ვიდრე პირველ ჯგუფში), რომლებიც ფლობენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის 9 925.5 ჰექტარს, რაც 427.5 ჰექტრით მეტია პირველ ჯგუფთან შედარებით. საშუალო არითმეტიკული მეთოდის თანახმად, პირველ ჯგუფში თითოეულ მეურნეობაზე/ოჯახზე სახნავ-სათესი მიწის საშუალო ფართობი 0.15 ჰექტარია, ხოლო მეორე ჯგუფის ფართობი 0.31 ჰექტარს შეადგენს , რაც პირველ მაჩვენებელზე 2.1-ჯერ მეტია.

პირველი და მესამე ჯგუფების თემებში საოჯახო მეურნეობების რაოდენობასა და სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთებს შორის განსხვავება (თემები განლაგებულია სხვადასხვა არეალში) კიდევ უფრო კონტრასტულია და ხასიათდება ინვენსიური პროპორციულობით. კერძოდ, აქ ვხედავთ 833 საოჯახო მეურნეობით შემცირებას, რაც საერთო ჯამში მოიცავს 2 311 ოჯახს, მაშინ როცა სახნავი მიწის ფართობი იზრდება 323.2 ჰექტრით და შეადგენს 888.2 ჰექტარს. საშუალოდ, პირველ ჯგუფში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფართობი თითოეულ მეურნეობაზე 0.15 ჰექტარია, მაშინ, როდესაც მესამე ჯგუფის - 0.39 ჰექტარია, რაც 2.6 ჯერ უფრო დიდია.

მეორე და მესამე ჯგუფების მონაცემების შედარებისას გამოიკვეთა შემდეგი: მე -3 ჯგუფში შინამეურნეობების რიცხვი 987 ერთეულით ნაკლებია, ვიდრე მეორე ჯგუფში, ხოლო სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთის ფართობი თითოეულ მეურნეობაზე 104.3 ჰექტრით ნაკლები. საშუალო გაანგარიშების მეთოდი გვიჩვენებს, რომ მეორე ჯგუფში სასოფლო-სამეურნეო

მიწის ნაკვეთის ფართობი 0.31 ჰექტარია, ხოლო მესამე ჯგუფის მიწის ფართობს 0.39 ჰექტარი შეადგენს - ამრიგად, 1.26-ჯერ უფრო დიდი.

უკეთესი ვიზუალიზაციისათვის, იხილეთ დიაგრამა, გრაფიკი 2, რომელშიც მოცემულია შინამეურნეობების რიცხვი და სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთების ფართობი თითოეულ ჯგუფზე.

გრაფიკი 2



ამრიგად, კვლევის მიხედვით, ხულოს მუნიციპალიტეტი ზოგადად ხასიათდება მიწის ნაკლებობით; და შესაბამისად, სახნავ-სათესი მიწები კიდევ უფრო ნაკლებია. ამ თვალსაზრისით, ფუშრუკაულის, ღორჯომის, რიყეთისა და სხალთას თემების ადმინისტრაციულ საზღვრებში სახნავ-სათესი მიწის რესურსების მდგომარეობა უკეთესია (გეოგრაფიულად სამი სხვადასხვა უბანი - ხეობა).

სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთები, როგორც წესი, ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებისთვის გამოიყენება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შესასწავლად შერჩეული იქნა რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 7.

ცხრილი 7[4]

№	ადმინისტრაციული ერთეული	მეურნეობების რაოდენობა	მთლიანი ფართობი	კარტოფილი		სიმინდი		პომიდორი		კიტრი		წიწაკა		სტაფილო		ჭარხალი		ხახვი		ნიორი		კომბოსტო	
				ფართობი (ha)	მოსავალი (ტონ ა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)
1	დაბა ხულო	401	5,5	2,5	62,5	1	2,1	0,5	6	0,6	7,8	0,2	0,4	0,2	0,9	0,1	0,9	0,1	0,6	0,1	0,2	0,2	2,2
2	დეკანაშვილები	1797	349,5	176,8	4420	153	321,3	6,7	80,4	5,8	75,4	3,2	6,4	0,8	4,8	0,9	8,1	1,1	5,5	0,5	1,8	0,7	8,4
3	ვაშლოვანი	946	217	50,3	1257,5	146	306,6	5,3	63,6	6,1	79,3	5,2	10,4	1,1	6,6	0,9	8,1	1	5	0,8	3,2	0,3	3,1
4	თხილვანა	439	92,4	48,1	1202,5	35	73,5	2,9	34,8	3,2	41,6	0,4	0,8	0,4	2,4	0,6	5,4	0,2	1	0,5	2	1,1	12,7
5	დიდაჭარა	605	158,6	68,4	1710	79	165,9	3,5	42	2,9	37,7	2,5	5	0,5	3	0,6	5,4	0,4	2	0,3	1,2	0,5	6
6	დიოკნისი	1229	422,1	290,6	7265	111	233,1	7,1	85,2	5,8	75,4	3,2	6,4	0,8	4,8	0,8	7,2	1,1	5,5	0,8	3,2	0,9	10,8
7	საციხური	331	112,8	44,6	1115	56	117,6	3,8	45,6	3,8	49,4	2,3	4,6	0,4	2,4	0,5	4,5	0,5	2,5	0,3	1,2	0,6	7,2
8	ხიხაძირი	462	125,4	67,5	1687,5	54	113,4	1	12	1,3	16,9	0,4	0,8	0,2	1,2	0,3	2,7	0,1	0,5	0,2	0,8	0,4	4,8
9	აგარა	232	86,1	48,9	1222,5	35	73,5	0,7	8,4	0,9	11,7	0,1	0,2	0,1	0,4	0,1	0,9	0,1	0,3	0,1	0,4	0,1	0,8
10	ღორჯომი	827	238,3	119,2	2980	113	237,3	2,7	32,4	2,3	29,9	0,1	0,2	0,2	1	0,2	1,8	0,2	0,8	0,2	0,8	0,2	2,8
11	ფუშრუკაული	290	188,7	32,5	812,5	154	323,4	0,7	8,4	0,8	10,4	0,2	0,4	0,1	0,7	0,1	0,9	0,1	0,5	0,1	0,4	0,1	1,6
12	სხალთა	627	119,7	61,1	1527,5	45	94,5	7,4	88,8	4,4	57,2	0,6	1,2	0,2	1,2	0,3	2,7	0,1	0,5	0,3	1,2	0,3	3,2
13	რიყეთი	567	256,5	179,5	4487,5	65	136,5	3,7	44,4	3,1	40,3	2,6	5,2	0,7	4,2	0,6	5,4	0,4	2	0,4	1,6	0,5	6
	სულ	***8753***	***2372,6***	**1190**	**29750**	**1047**	**2198,7**	**46**	**552**	**41**	**533**	**21**	**42**	**5,6**	**33,6**	**6**	**54**	**5,3**	**27**	**4,5**	**18**	**5,8**	**69,6**

[4]განვითარებისა და ინფორმაციის სამსახური, სოფლის მეურნეობის განვითარების ხულოს ფილიალის დეპარტამენტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, 2018.

ცხრილი 8 გვიჩვენებს მონაცემებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების შესახებ სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთების მიხედვით თითოეულ ჯგუფზე

ცხრილი 8

ჯგუფი	მეურნეობების/ოჯახების რაოდენობა	მთლიანი ფართობი	კარტოფილი		სიმინდი		პომიდორი		კიტრი		წიწაკა		სტაფილო		ჭარხალი		ხახვი		ნიორი		კომბოსტო	
			ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)	ფართობი (ha)	მოსავალი (ტონა)
I	3144	572	229,6	5740	300	630	12,5	150	12,5	162,5	8,6	17,2	2,1	12,3	1,9	17,1	2,2	11,1	1,4	5,2	1,2	13,7
II	3298	997,4	568,1	14202,5	370	777	19	228	17,9	232,7	8,9	17,8	2,4	14,2	2,9	26,1	2,4	11,8	2,2	8,8	3,6	42,3
III	2311	803,2	392,3	9807,5	377	791,7	14,5	174	10,6	137,8	3,5	7	1,2	7,1	1,2	10,8	0,8	3,8	1	4	1,1	13,6
სულ	**8753**	**2372,6**	**1190**	**29750**	**1047**	**2198,7**	**46**	**552**	**41**	**533**	**21**	**42**	**5,7**	**33,6**	**6**	**54**	**5,4**	**26,7**	**4,6**	**18**	**5,9**	**69,6**

მონაცემები გვიჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტში არსებული 2 445.7 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებიდან, მხოლოდ 1 326 (54.3%) მიწის ნაკვეთი იქნა დამუშავებული 2017 წელს.

ცხრილში მოცემული ციფრების მიხედვით, წარმოების უმსხვილესი წილი, ყველა კულტურის გათვალისწინებით (გარდა სიმინდისა), მოდის მეორე ჯგუფზე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მეორე ჯგუფი აერთიანებს, როგორც შინამეურნეობების (3 298), ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების (627.4 ჰა) ყველაზე დიდ რაოდენობას.

თითოეული ჯგუფისთვის ერთწლიანი კულტურებით გაშენებული ტერიტორიების განაწილება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული გრაფიკით 3.

გრაფიკი 3



კვლევის თანახმად, სამივე ჯგუფში კარტოფილისა და სიმინდის წარმოება ყველაზე მაღალია (პირველ ჯგუფში სიმინდის წარმოება 70.4 ტონით მეტია, ვიდრე კარტოფილის წარმოება). აღნიშნული განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: დაბა ხულოსთან ახლოს მდებარე სოფლებში არსებული ტრადიციები; ზღვის დონიდან სოფლების შედარებით დაბალი ადგილმდებარეობა; და სიმინდის წარმოების ძველი ტრადიცია. გარდა ამისა, ამ სოფლებში ოჯახები ჩართულები არიან სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და არ არიან ორიენტირებულები კონკრეტული კულტურის წარმოებაზე. შესაბამისად, საბაზრო პროდუქციის წარმოების დონე დაბალია. საკმაოდ მაღალი ინტერვალებით, ზემოთ ხსენებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს მოჰყვება პომიდორი, კიტრი, წიწაკა და სხვა ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (მრავალფეროვანი კულტურები) წარმოება.

ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ეფექტურობისა და შედეგების შესასწავლად მნიშვნელოვანია ორი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების - კარტოფილისა და სიმინდის ეკონომიკური შედეგების შედარება თითოეული ჯგუფის მეურნეობაში.

ეკონომიკური გაანგარიშების მონაცემები ემყარება შემდეგს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების განვითარების განყოფილებისა და ინფორმაციის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ხულოს მუნიციპალიტეტში:
-კარტოფილის საშუალო მოსავლის ოდენობა 2017 წელს ერთ ჰექტარზე 25 ტონაა;
-ფერმერისთვის საშუალო გასაყიდი ფასი (საბითუმო ფასი) 1 კგ კარტოფილზე შეადგენს 0.60 ლარს 2017 წელს;
-სიმინდის მოსავლი ერთ ჰექტარზე 2.1 ტონაა, ნამჯა - 1000 შეკვრა;
-მუნიციპალიტეტში, სიმინდის პროდუქცია ძირითადად იყიდება სიმინდის ფქვილის გამო. 1 კგ დაფქვილი სიმინდის ფასი 0.1 ლარია, მაშინ, როდესაც სიმინდის ფქვილის ფასი (საბითუმო) 1.2 ლარს შეადგენს (2017). მოგების გაანგარიშებისას, 1.1 ლარი გასაყიდი ფასი ითვლება (დაფქვის ღირებულება აკლდება);
-1 კგ დაფქვილი სიმიდის მარცვლისგან მიიღება 1 კგ სიმინდის ფქვილი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოსაქვეყნებლად რეკომენდებულია „კულტურების გაშენებისა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ეკონომიკური სახელმძღვანელოს“ მიერ დამკვიდრებული სტანდარტები (რ. მარგალიტაძე, ვ. გოლიაძე, ბათუმი 2014).

ზემოთ ჩამოთვლილ ნორმებსა და სტანდარტებზე დაყრდნობით, კარტოფილისა და სიმინდის წარმოება თითო მეურნეობაზე, საშუალო მოგება და საშუალო ინდიკატორების შედარებითი ანალიზი თითოეულ ჯგუფზე ნაჩვენებია ცხრილში 9.

ცხრილი 9

ჯგუფი	სახნავ-სათესი მიწის საშუალო ფართობი თითოეულ მეურეობაზე (ჰა)	წარმოებული კარტოფილი/სიმინდი/ნამჯა 1 ჰა (ტონა)	წარმოება თითოეულ მეურნეობაზე (ტონა/შეკვრა)	საბითუმო ფასი ტონა/ლარი	შემოსავალი გაყიდვებიდან	პროდუქტის ღირებულება				საშუალო მოგება თითოეულ მეურნეობაზე
						თითო ჰექტარზე			თითოეულ მეურნეობაზე	
						სულ	მათ შორის			
							ტექნიკური პროცესი	ტრანსპორტირება		
კარტოფილი										
I	0,15	25	3,75	600	2250	5075,4	5040	35,4	761,31	1488,69
II	0,31	25	7,75	600	4650	5075,4	5040	35,4	1573,37	3076,63
III	0,39	25	9,75	600	5850	5075,4	5040	35,4	1979,41	3870,59
სიმინდი										
I	0,15	2,1	0,315	1100	346,5	1242,8	1207,4	35,4	186,42	197,58
		1000	150	0,25	37,5					
სულ I					384					
II	0,31	2,1	0,651	1100	716,1	1242,8	1207,4	35,4	385,268	

		1000	310	0,25	77,5					408,332
სულ II					793,6					
III	0,39	2,1	0,819	1100	900,9	1242,8	1207,4	35,4	484,692	513,708
		1000	390	0,25	97,5					
სულ III					998,4					
შედარებითი მონაცემები[5] („კარტოფილი“ –„სიმინდი“)										
I	0,15			1680	1866	3832,6	3832,6	0	574,89	1291,11
II	0,31				3856,4	3832,6	3832,6	0	1188,11	2668,29
III	0,39				4851,6	3832,6	3832,6	0	1494,71	3356,89

ცხრილების თანახმად, პროდუქციის წარმოება და ეკონომიკური შედეგები თითოეული ჯგუფის თითოეულ მეურნეობაზე შემდეგია:

1. კარტოფილის წარმოება
   -პირველი ჯგუფი (თემები სახნავი-სათესი მიწის ყველაზე მცირე ფართობებით) – 3.75 ტონა; საშუალო მოგება - 1488.7 ლარი;
   -მეორე ჯგუფი (თემები სახნავ-სათესი მიწის საშუალო ფართობებით) – 7.75 ტონა; საშუალო მოგება – 3 076.6 ლარი;
   -მესამე ჯგუფი (თემები სახნავ-სათესი მიწის შედარებით დიდი ფართობებით) – 9.75 ტონა; საშუალო მოგება – 3 870.6 ლარი.
2. სიმინდის წარმოება
   - პირველი ჯგუფი (სოფლის თემები სახნავ-სათესი მიწის ყველაზე მცირე ფართობებით) – 0.315 ტონა მარცვალი და 150 შეკვრა ნამჯა; საშუალო მოგება – 197.58 ლარი;
   - მეორე ჯგუფი (თემებისახნავ-სათესი მიწის საშუალო ფართობებით) – 0.651 ტონა მარცვალი და 310 შეკვრა ნამჯა; საშუალო მოგება – 408.332 ლარი;
   - მესამე ჯგუფი (თემებისახნავ-სათესი მიწის საშუალო ფართობებით) – 0.819 ტონა მარცვალი და 390 შეკვრა ნამჯა; საშუალო მოგება - 513,708 ლარი.

გრაფიკი 4 წარმოგიდგენთ კარტოფილის წარმოების მონაცემების გრაფიკულ გამოსახულებას და საშუალო მოგების ინდიკატორებს თითოეულ შინამეურნეობაზე.

[5]წარმოდგენილი მონაცემები ითვალისწინებს ტიპური მეურნეობების მიერ კარტოფილისა და სიმინდის წარმოების შედეგად მიღებულ მოგებებს შორის სხვაობას.

გრაფიკი 4



სიმინდის წარმოების და თითოეულ მეურნეობაზე საშუალო მოგების შესახებ მონაცემები გრაფიკულ გამოსახულებაში გვაძლევს შემდეგ სურათს:

გრაფიკი 5



გრაფიკი 6 წარმოგიდგენთ კარტოფილისა და სიმინდის წარმოების საშუალო მოგების შესახებ შედარებით მონაცემებს თითოეულ ოჯახზე თითოეულ ჯგუფში.

გრაფიკი 6



კვლევის თანახმად, ფინანსური თვალსაზრისით, კარტოფილის წარმოება გაცილებით მიმზიდველი და საინტერესოა, ვიდრე სიმინდის წარმოება. შესაბამისად, მოსახლეობა მეტადაა კონცენტრირებული კარტოფილის წარმოებაზე. თუმცა, აღნიშნული ანალიზი საშუალებას იძლევა, მოვახდინოთ უპირატესი მოგების პროდუქტის განსაზღვრა მოცემულ პირობებში, მაგრამ ეს არ გახლავთ საუკეთესო გზა მაღალი მოგების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის დადგენისთვის. უფრო მეტიც, მუნიციპალიტეტში კარტოფილის წარმოება უკავშირდება რამდენიმე შემაფერხებელ ფაქტორს:

- დაავადება (კარტოფილის კიბო);
- კულტურების დაბალი პროდუქტიულობა;
- თესლების წარმოება და მიწოდება;
- ცუდი ნიადაგი;
- თანამედროვე აგროტექნიკური საქმიანობის შესახებ ფერმერთა ცოდნის დაბალი დონე.

კარტოფილის კიბო გამოვლენილი იქნა ხულოს მონიციპალიტეტში 2015-2016 წლებში. ამიტომაც, 2016 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარდა გამოცდა გარკვეული ჯიშის კარტოფილების რეზისტენტულობაზე კიბოს გამომწვევი პათოგენების წინააღმდეგ (სოკო - Synchytrium endobioticum) . შემოწმდა კარტოფილის 15 ჯიში.

სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ინფორმაციის თანახმად და კარტოფილის სხვადასხვა ჯიშისთვის ნიადაგების კვლევის შედეგად (სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა კარანტინის სამმართველოსა და მცენარეთა ფიტოსანიტარული მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს კარტოფილის თესლის შემოწმების პროცესში. აღნიშნული ანალიზების შედეგებს გაეცვნენ საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობების სამინისტროები 04/1446, №04 / 1447),

კარტოფილის კიბოს სიმპტომები არ აღმოაჩნდა კარტოფილის 6 ჯიშს, კერძოდ: „ფარიდა“, „სილვანა“, „პანამერა“, „ბარსელონა“, „ჯავახეთური“ და „მესხური წითელი“. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის განცხადებით, ერთი წლის კვლევის მონაცემები არ უზრუნველყოფს მაღალი სიზუსტის ინფორმაციას დაავადებების მიმართ მცენარეთა გამძლეობის შესახებ. შესაბამისად, ამ ეტაპზე ზუსტი დასკვნებისა და პირდაპირი რეკომენდაციების გაცემა შეუძლებელია. თუმცა, ცენტრში აცხადებენ, რომ სასურველია ძველი, უცნობი ან გაურკვეველი რეპროდუქციის კარტოფილის თესლები ჩანაცვლდეს, სულ მცირე, პირველი წლის კვლევის შედეგების მიხედვით ნარჩევი ან მაღალი პროდუქტიულობის მქონე სათესლე კარტოფილებით.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, თესლების ჩანაცვლების პროცესი (დაბალი პროდუქტიულობის მქონე ჯიშების ჩანაცვლება ნარჩევი ან მაღალი პროდუქტიულობის სათესლე კარტოფილებით) უკვე დაგეგმილია და ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამების მიერ. 2017 წელს, ქვეპროგრამის ფარგლებში, 101.5 ტონა „სილვანა“-„ა“ ხარისხის კარტოფილის თესლი იქნა შესყიდული; შეძენილი კარტოფილის თესლები მიეწოდა ფერმერებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლებს გარკვეული პირობებით: ისინი ვალდებულები იყვნენ შეძენილი საქონლის (1 კგ - 2.79 ლარი) საკონტრაქტო ღირებულების 30% (1 კგ - 0.84 ლარი) გადაერიცხათ სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე. მთლიანად შესყიდული საქონელი 96 984.8 კგ (95.5%) გადაეცა ხულოს მუნიციპალიტეტის ფერმერებს. ქვეპროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსების პირობებით, ფერმერებს, ასევე, მინერალური და ორგანული სასუქები (ბიოლოგიური) მიეწოდათ.

ინფორმაცია კარტოფილის თესლის განაწილებასთან დაკავშირებით თემების მიხედვით მოცემულია ცხრილში 10

ცხრილი 10[6]

№	ხულოს მუნიციპალიტეტის თემები	ბენეფიციარების რაოდენობა	ათვისებული ფართობი (ჰა)	კარტოფილის თესლების რაოდენობა (ტონა)
1	დეკანაშვილები	25	2.77	9 905
2	ვაშლოვანი	2	0,13	455
3	თხილვანა	1	0,1	350
4	დიდაჭარა	6	0,84	3 150
5	დიოკნისი	129	19,72	68 584,8
6	საციხური	4	1,1	3 955
7	ხიხაძირი	2	1	350
8	ღორჯომი	15	1,224	4 285
9	ფუშრუკაული	1	0,03	105
10	სხალთა	6	0,44	1 540

[6]აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ხულოს ფილიალის დეპარტამენტის განვითარებისა და ინფორმაციის სამსახური, 2018, ანალიზები ჩატარებულია მკვლევარების მიერ.

11	რიყეთი	11	1,22	4 305
სულ		**202**	**28,56**	**96 984,8**

ჯგუფები დოკუმენტის მიხედვით:

მონაცემების მიხედვით, მოთხოვნის ყველაზე მაღალი მაჩვენებლი ფიქსირდება დიოკნისის, დეკანაშვილების, ღორჯომისა და რიყეთის თემებიდან, რასაც ცხადყოფს ცხრილში 7 წარმოდგენილი კარტოფილის წარმოების მაღალი მაჩვენებლი ამ ჯგუფებში.

აღსანიშნავია, რომ მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ინდიკატორების თანახმად (ცხრილი 6), იგივე თემები ხასიათდებიან კარტოფილის წარმოების მაღალი მაჩვენებლებით (დიოკნისი - 290.6 ჰა, 7 265 ტონა; რიყეთი-179.5 ჰა, 4 487.5 ტონა; დეკანაშვილები-176.8 ჰა, 4 420 ტონა და ღორჯომი-119.2 ჰა, 2 980 ტონა).

აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული მონაცემები იძლევა იმის საშუალებას, დავასკვნათ, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის 13 თემიდან კარტოფილის წარმოების მთავარი მიმდევრები დიოკნისის, რიყეთის, დეკანაშვილებისა და ღორჯომის თემები არიან; აღნიშნული შეადგენს მუნიციპალიტეტში კარტოფილის მთლიანი წარმოების 65%-ს.

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზემოთ ხსენებული ქვე-პროგრამის ფარგლებში განაწილებული კარტოფილის თესლებითა და შესაბამისი სასუქებით ნაწარმოები პროდუქტების მონიტორინგის შედეგად, საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარზე შეადგენს 30 ტონას. აღნიშნული შედეგი 5 ტონაზე მეტია, ვიდრე პროგრამის მხარდაჭერის გარეშე წარმოების შემთხვევაში.

ასეთ პირობებში, 1 ჰექტარზე გაყიდული პროდუქციიდან მიღებული მოგება, იგივე გაყიდვის ფასით (1 ტონა - 600 ლარი), იზრდება 3 000 ლარით. თუმცა, იზრდება სათესლე მასალების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებიც. გარდა ამისა, აღნიშნული თესლის მასალითა და შესაბამისი აგროტექნიკური სტანდარტების გათვალისწინებით წარმოებული პროდუქტები ხასიათდება უმაღლესი კონკურენტუნარიანობით სასაქონლო ნიშნის მახასიათებლების, გემოსა და პროდუქტიულობის თვალსაზრისით; შესაბამისად, გასაყიდი ფასი საშუალოდ გახდა 1 ლარი.

ამ პირობებში კარტოფილის წარმოების ეკონომიკური შედეგების შესახებ მონაცემები მოცემულია ცხრილში 11.

ცხრილი 11

ჯგუფი	სამუალო სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი თითოეულ საოჯახო მეურნეობაზე (ჰა)	წარმოებულილი კარტოფილი/სიმინდი/ნამ ჯა თითო ჰექტარზე (ტონა)	წარმოება თითოეულ მეურნეობაზე (ტონა/შეკვრა)	საბითუმო ფასი ტონა/ლარი	შემოსავალი გაყიდვებიდან	პროდუქციის ღირებულება				
						ერთ ჰექტარზე			თითოეულ ოჯახზე/მეურნეობაზე	საშუალო მოგება თითოეულ მეურნეობაზე
						სულ	მათ შორის			
							ტექნიკური პროცესი	ტრანსპორტირ ება		
I	0,15	30	4,5	1000	4500	11375,4	11340	35,4	1706,31	2793,69
II	0,31	30	9,3	1000	9300	11375,4	11340	35,4	3526,374	5773,626
III	0,39	30	11,7	1000	11700	11375,4	11340	35,4	4436,406	7263,594

შემდეგი გრაფიკით წარმოდგენილია: მაღალი პროდუქტიული თესლების და ძველი, უცნობი ან გაურკვეველი რეპროდუქციის თესლების გამოყენებით წარმოებული კარტოფილის ეკონომიკური და რაოდენობრივი შედეგების შესახებ მონაცემების შედარებითი ანალიზი; ინდიკატორები მოცემულია თითოეულ საოჯახო მეურნეობაზე თითოეულ ჯგუფში.

გრაფიკი 7



მონაცემები ცხადყოფს, რომ მაღალი პროდუქტიული სათესლე მასალის გამოყენების შემთხვევაში, კარტოფილის წარმოების მოცულობა 0.75 ტონით იზრდება თითოეულ საოჯახო მეურნეობაზე პირველი ჯგუფის თემებში. მატება მეორე ჯგუფის თემებში 1.55 ტონაა, ხოლო მესამე ჯგუფის თემების წარმოება იზრდება 1.95 ტონით.

იმავე პირობებში, ეკონომიკური შედეგები (საშუალო მოგება) ნაჩვენებია შემდეგ დიაგრამაში.

გრაფიკი 8



მონაცემების მიხედვით, მაღალი პროდუქტიული სათესლე მასალის გამოყენების შემთხვევაში, კარტოფილის წარმოების ეკონომიკური შედეგი (საშუალო მოგება) იზრდება 1.3 ათასი ლარით პირველ ჯგუფში წარმოდგენილი თემების თითოეულ საოჯახო მეურნეობაზე, მეორე ჯგუფის თემებში - 2.69 ათასი ლარით (87.34%), ხოლო მესამე ჯგუფის თემებში მოგება იზრდება 3.39 ათასი ლარით (87.60%).

ამრიგად, მოცემული მონაცემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე აშკარაა, რომ ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (კარტოფილის მაგალითზე) წარმოების პროცესში მაღალი ნაყოფიერების მცენარეების/სათესლე მასალების გამოყენება და აგრო-ტექნიკური სტანდარტების სრული დაცვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ შედეგებზე. კერძოდ, ამ შემთხვევაში არსებულ შედეგებთან შედარებით, ფინანსური შემოსავლები 87%-ით იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი პროდუქტიულობის თესლის შესყიდვის ხარჯები თითქმის 4-ჯერ იმატებს. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ აღნიშნული თესლები ფერმერების მიერ შეიძლება, გამოყენებულ იქნეს შემდგომი რეპროდუქციისათვის მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში, რაც შეამცირებს შესყიდვის ხარჯებს და გააუმჯობესებს შინა მეურნეობების ფინანსურ მდგომარეობას.

საოჯახე მეურნეობების მაღალი პროდუქტიული სათესლე მასალებითა და მცენარეებით უზრუნველყოფა კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად. რეგიონში არ არსებობს ფერმერული მეურნეობა, რომელიც აწარმოებს სათესლე მასალებს ერთწლიანი კულტურებისათვის; უფრო მეტიც, არ არსებობს ადგილი, სადაც ფერმერებს შეუძლიათ, შეისყიდონ მაღალი ხარისხის, სერტიფიცირებული, სხვადასხვა დაავადების მიმართ რეზისტენტული სათესლე მასალები ვირუსების გარეშე.

აგროტექნიკური საქმიანობის დროული და სრული განხორციელების კუთხით, რომელიც ითვალისწინებს საგაზაფხულო სამუშაოებს (დარგვა, დაფესვიანება, დათესვა), მცენარეთა დაცვის ღონისძიებებს (მავნე ორგანიზმები, დაავადებები, სარეველები), მოსავლის აღების, დასაწყობების, შენახვისა და გაყიდვის სრულ კომბინაციას - შესამჩნევი იყო პროგრესი 2008-2018 წლებში, რადგანაც სოფლის მეურნეობის სექტორი აღჭურვილი იყო ძირითადი ტექნიკით; თუმცა, საბოლოოდ, აღნიშნული საკითხი კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად ამ მიმართულებით.

აგროტექნიკურ საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება პირდაპირ გავლენას ახდენს წარმოების ეფექტურობაზე. აღნიშნული ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებით. ხულოს მუნიციპალიტეტი ხასიათდება მცირე საოჯახო მეურნეობებით, მთიანი და რთული რელიეფის მქონე სასოფლო-სამეურნეო მიწებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, გამოყენებული იქნეს მხოლოდ მცირე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ადამიანური რესურსის სამუშაო დატვირთვას, გაზრდის სამუშაოების შესრულების ეფექტურობასა და როგორც საერთო შედეგი - გაზრდის მწარმოებლურობას.

მუნიციპალიტეტში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პროცესში, ფერმერები ძირითადად მუშაობენ მიწაზე ხელით გუთნითა და რკინის სახნისით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წელს პროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსების პირობებით, შესყიდული და ფერმერებისთვის გადაცემული იქნა 350 ცალი გუთანი და 1000 ცალი რკინის სახნისი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების ფარგლებში, რეგიონში, ხულოს მუნიციპალიტეტის ჩათვლით, 2013-2017 წლებში ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით დაფინანსებული ქვეპროგრამის ფარგლებში - განხორციელდა პროგრამა "ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის მეწარმეების ტექნიკით მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისთვის“. პროგრამა ამჯერადაც განხორციელების ეტაპზეა. პროგრამის ფარგლებში, შესყიდული იქნა 409 ცალი სხვადასხვა სახეობის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რაც შემდგომ შესყიდვის ღირებულების 30%-იანი თანადაფინანსებით ხულოს მუნიციპალიტეტის ფერმერებს გადაეცათ. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ტიპები და რაოდენობა მოცემულია ცხრილში 12.

ცხრილი 12[7]

№	თემი/დაბა	ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა			
		ნიადაგის დასამუშავებელი კულტივატორი	ნიადაგის დასამუშავებელი კულტივატორი თივის მჭრელით	ურიკა	სულ
1	***3***	***4***	***5***	***6***	***7***
1	აგარა	1	7	2	***10***
2	დაბა ხულო	2	1	0	***3***
3	დეკანაშვილები	42	28	11	***81***
4	დიდაჭარა	6	13	2	***21***
5	დიოკნისი	39	29	13	***81***
6	ვაშლოვანი	12	10	1	***23***
7	თხილვანა	4	11	1	***16***
8	რიყეთი	10	20	6	***36***
9	საციხური	6	2		***8***
10	სხალთა	15	9	2	***26***
11	ფუშრუკაული	1	0	1	***2***
12	ღორჯომი	32	41	4	***77***
13	ხიხაძირი	15	8	2	***25***
სულ		***185***	***179***	***45***	***409***

მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტში საოჯახო მეურნეობების სულ მცირე 4%-ს აქვს ნიადაგის დასამუშავებელი კულტივატორი იმ ვარაუდით, რომ ისინი აღნიშნულ ტექნიკას სხვა მუნიციპალიტეტებს არ გადასცემენ.

სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, ზემოთ აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, 2018 წელს დაგეგმილია 100 ცალზე მეტი სასხურებელი მანქანისა და 70 ცალზე მეტი ნიადაგის დასამუშავებელი კულტივატორის (თივის მჭრელით) ხულოს ფერმერებისა და მეწარმეებისათვის გადაცემა (ქვეპროგრამა განხორციელების ეტაპზეა).

[7]აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტროს აგრობიზნესის განვითარების დეპარტამენტი, 2018.

გარდა იმისა, რომ ფერმერები უზრუნველყოფილები იყვნენ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით შეღავათიანი პირობებით, ქვეპროგრამის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს მოთხოვნის მაღალი დონე და ცნობიერების ამაღლება, რაც გამოვლინდა კვლევის ფარგლებში ფერმერებთან შეხვედრების დროს. ცხადია, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ფერმერების უზრუნველყოფა საკმარისი არაა, იმისათვის, რათა მოხდეს სრული შესაბამისობა არსებულ მოთხოვნებთან. თუმცა, ცნობიერების ამაღლება მათ ეფექტურობაზე და ეფექტიანობაზე, ისევე როგორც მოთხოვნის გაზრდა მუნიციპალიტეტში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მდგრადობის მაჩვენებელია.

ფერმერებისაგან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მექანიზმებისათვის სარემონტო/შესაკეთებელი ცენტრი, რაც დაეხმარებოდა ფერმერებს, შეაკეთონ/შეარემონტონ ნიადაგის დასამუშავებელი კულტივატორები და/ან საჭიროებისამებრ, შეისყიდონ აღნიშნული მანქანა-მექანიზმების სათადარიგო ნაწილები.

მუნიციპალიტეტში ასევე არ ფუნქციონირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის საჭირო მშრალი სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობები, რაც შესაძლებლობას მისცემდა ფერმერებს, საკუთარი პროდუქცია შეინახონ ტექნოლოგიური მოთხოვნებისა და სტანდარტების დაცვით და ასევე, უზრუნველყონ პროდუქციის გაყიდვა ბაზარზე მათთვის ხელსაყრელი პირობებით სეზონური მოთხოვნილებებისა და მიწოდების გათვალისწინებით. თუმცა, აღნიშნული საკითხი სხვა პრობლემებთან ერთად არ დამდგარა დღის წესრიგში ფერმერების მიერ. ეს, შესაძლოა, ახსნილი იქნეს სასაწყობო სივრცეების უპირატესობების შესახებ მწირი ინფორმაციით ფერმერებში.

2.3. მრავალწლიანი კულტურების წარმოება

ხულოს მუნიციპალიტეტში მრავალწლიანი კულტურების წარმოების დონე, რომლებიც ბაღების ფორმითაა გაშენებული, ყველაზე დაბალია და 69.8 ჰექტარს შეადგენს. ეს არის მთელი წარმოების 1%. (ცხრილი 1)

გამომდინარე იქიდან რომ საოჯახო მეურნეობები ფლობდნენ მცირე ნაკვეთებს, ისინი ძირითადად ფოკუსირებულები იყვნენ პირადი მოხმარების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაზე. მათი მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანიშნულება ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის. ამავდროულად, მრავალწლიანი კულტურები ძირითადად წარმოდგენილია გაფანტული ფორმით, როგორც შერეული მეურნეობა. უმეტეს შემთხვევაში, მრავალწლიანი კულტურები მოშენებულია სათიბე მიწებზე და კარმიდამოების პერიმეტრზე. შესაბამისად, მრავალწლიანი კულტურების მიწის ნაკვეთების ფართობი, განსაკუთრებით კი ბაღების ფორმით, შეადგენს 69.8 ჰექტარს - მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 1, უჯრა 1.

თუმცა, მრავალწლიანი კულტურების ფართობი იმდენად მცირეა, რომ ის უნდა შეფასდეს, როგორც მრავალწლიანი ბაღებისა და გაფანტული ფორმით გაშენებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯამი, როგორც ეს მოცემულია ცხრილში 13.

Table 13

№	ადმინისტრაციული ერთეული	საოჯახო მეურნეობების რაოდენობა	მთლიანი ფართობი	მრავალწლიანი კურკოვანი ხილი		მრავალწლიანი კურკოვანი და თესლოვანი ხილი		მრავალწლოვანი კენკროვანი კულტურები		საშუალოდ თითოეულ საოჯახო მეურნეობაზე (ჰა)
				ფართობი (ჰა)	მოსავლიანობა (ტონა)	ფართობი (ჰა)	მოსავლიანობა (ტონა)	ფართობი (ჰა)	მოსავლიანობა (ტონა)	
1	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*	*8*	*9*	*10*	*11*
1	დაბა ხულო	401	7,45	2,5	2,2	4,9	32,65	0,05	0	0,02
2	თხილვანა	439	9,6	1,47	1,276	8,1	54,2	0,03	0	0,02
3	ფუშრუკაული	290	11,48	2,95	1,8	8,5	59	0,03	0	0,04
4	ღორჯომი	827	35,21	3,9	3,42	31,1	220,15	0,21	0	0,04
5	ხიხაძირი	462	20,84	7,81	6,948	13	114,5	0,03	0	0,05
6	აგარა	232	11,44	1,4	0,9	10	70,5	0,04	0	0,05
7	დიოკნისი	1229	69,86	22,85	20,08	45,9	312,9	1,11	0	0,06
8	დეკანაშვილები	1797	105,19	35,79	31,132	68,9	475,25	0,5	0	0,06
9	სხალთა	627	41,95	8,1	7,18	33,7	232,95	0,15	0	0,07
10	დიდაჭარა	605	41,18	14,31	12,748	26,8	183,3	0,07	0	0,07
11	საციხური	331	22,97	3,92	3,436	19	128,5	0,05	0	0,07
12	რიყეთი	567	41,6	14,03	12,424	27,5	190	0,08	0	0,07
13	ვაშლოვანი	946	70,52	24,77	21,916	45,6	322,35	0,15	0	0,07
სულ		**8753**	**489,29**	**143,8**	**125,46**	**343**	**2396,25**	**2,5**	**0**	**0,05**

ცხრილი 13 მე-11 სვეტის მონაცემები მიუთითებს მრავალწლოვანი მცენარეების მიწის ფართობებისა და თითოეულ თემში საოჯახო მეურნეობის რაოდენობების თანაფარდობაზე. შესაბამისად, მონაცემები გვიჩვენებს თითოეულ თემში საოჯახო მეურნეობის სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული მრავალწლოვანი კულტურების მიწის ნაკვეთების საშუალო ფართობს.

მეთოდები - საშუალო არითმეტიკული, მედიანა და მოდა გამოყენებული იქნა თითოეული მეურნეობის მიერ მრავალწლოვანი კულტურების მიერ დაკავებული მიწის ფართობის განსასაზღვრად, კერძოდ კი:

- საშუალო არითმეტიკული - ხულოს მუნიციპალიტეტში, თითოეული თემის მიხედვით, თითოეულ საოჯახოს მეურნეობაზე საშუალო ფართობი მერყეობს 0.02 ჰექტარიდან 0.07 ჰექტრამდე, რაც საშუალო არითმეტიკულით შეადგენს 0.05 ჰექტარს. შესაბამისად, თითოეულ საოჯახო მეურნეობაზე მრავალწლოვანი კულტურების მიწის ნაკვეთის საშუალო ფართობი 0.05 ჰექტარია;
- მედიანა - ამ მეთოდის თანახმად, თითოეული საოჯახო მეურნეობის მრავალწლოვანი კულტურების მიწის ნაკვეთის საშუალო ფართობი შეადგენს 0.06 ჰექტარს;
- მოდა - აღნიშნული მეთოდის მიხედვით, მუნიციპალიტეტში თითოეულ საოჯახო მეურნეობაზე სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთის საშუალო ფართობი 0.07 ჰექტარია.

ამრიგად, კვლევებზე დაყრდნობით, ხულოს მუნიციპალიტეტში მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული ფართობი საშუალოდ 0.05-0.07 ჰექტარს შეადგენს თითოეულ საოჯახო მეურნეობაზე. მონაცემების მიხედვით, არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება საშუალო არითმეტიკული, მედიანა და მოდა მეთოდებით მიღებულ შედეგებს შორის. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ მუნიციპალურ დონეზე იშვიათია გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც საოჯახო მეურნეობას გააჩნია მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული მიწის ნაკვეთის შედარებით დიდი ფართობი. შესაბამისად, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს საოჯახო მეურნეობები, რომელთაც საკუთრებაში გააჩნიათ მრავალწლიანი კულტურების მქონე მიწის ნაკვეთები (1000კვ.მ). უფრო მეტიც, იშვიათია 1000 კვ. მ გაშენებული ბაღები.

შესაბამისად, შემდგომი ანალიზისა და კალკულაციების მიზნით, 0.06 ჰექტარი განისაზღვრა, როგორც მრავალწლიანი კულტურებისათვის მიწის ნაკვეთის საშუალო ფართობი თითოეულ ოჯახზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მრავალწლიანი კულტურების წარმოება არ არის რეკომენდებული თემების შინამეურნეობების თვალსაზრისით. ეს განპირობებულია იმით, რომ მრავალწლიანი კულტურები ხულოს მუნიციპალიტეტში ძირითადად წარმოდგენილია გაფანტულად შერეულ მეურნეობებში. უფრო კონკრეტულად კი, მრავალწლიანი კულტურები გაშენებულია კარმიდამოს პერიმეტრზე და მხოლოდ რამდენიმე მაგალითია იმისა, რომ ასეთი მიწის ნაკვეთი ბაღის ფორმითაა წარმოდგენილი. შესაბამისად, მრავალწლიანი კულტურების წარმოების ეკონომიკური მომგებიანობა მინიმალურია.

2013-2018 წლებში მუნიციპალიტეტში შეიმჩნეოდა მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მქონე ბაღების მოშენების მზარდი ტენდენცია. ბაღების მოშენება, ძირითადად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

მრავალწლიანი კულტურების წარმოების მზარდი ტენდენციის უკეთესად შესწავლისა და ვიზუალიზაციის მიზნით (ცხრილი 13), რეკომენდებულია, ცალკე შევისწავლოთ ერთის მხრივ, ხულოს მუნიციპალიტეტის ფერმერების მომარაგება თხილის, კაკლის („ჩანდლერის“

ჯიში), მოცვისა და აქტინიდიის (კივი) კულტურებით და მეორეს მხრივ, აღნიშნული ფერმერების მიერ ბაღების მოშენების თემა. 2013-2017 წლებში აღნიშნული მცენარეები მიეწოდათ ფერმერებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში.

ინფორმაცია აღნიშნული მცენარეების განაწილებისა და მოშენებული ფართობების შესახებ მოცემული ცხრილში 14.

ცხრილი 14[8]

№	ადმინისტრაციული ერთეული	სულ		კაკალი		თხილი		მოცვი		კივი	
		მეურნეობა	ფართობი	მეურნეობა	ფართობი	მეურნეობა	ფართობი	მეურნეობა	ფართობი	მეურნეობა	ფართობი
1	აგარა	4	0,53	2	0,13	2	0,4	0	0	0	0
2	დაბა ხულო	15	1,05	2	0,15	4	0,7	4	0,02	5	0,18
3	დეკანაშვილები	177	20,53	63	7,65	44	11,68	53	0,73	17	0,47
4	დიდაჭარა	12	1,37	2	0,20	5	1,11	3	0,04	2	0,02
5	დიოკნისი	70	9,88	31	3,67	20	5,41	18	0,78	1	0,02
6	ვაშლოვანი	47	5,23	17	1,57	18	3,52	9	0,07	3	0,07
7	რიყეთი	24	4,15	10	1,36	10	2,73	4	0,06	0	0
8	საციხური	6	1,13	2	0,23	3	0,9	1	0	0	0
9	სხალთა	25	3,38	16	2,74	3	0,5	6	0,14	0	0
10	ფუშრუკაული	5	1,05	1	0,10	4	0,95	0	0	0	0
11	ხიხაძირი	10	1,42	7	0,77	3	0,65	0	0	0	0
12	ღორჯომი	17	1,11	1	0,12	4	0,8	12	0,19	0	0
13	თხილვანა	2	0,45	0	0,00	2	0,45	0	0	0	0
სულ		***414***	***51,28***	***154,00***	***18,69***	***122,00***	***29,80***	***110,00***	***2,03***	***28,00***	***0,76***

მონაცამების თანახმად, 2014-2017 წლებში, სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, 414 ბენეფიციარმა (საოჯახო მეურნეობამ) უკვე მოაშენა მრავალწლიანი კულტურების ბაღები, რომლის მთლიანი მიწის ფართობი შეადგებს 51.28 ჰექტარს, რაც მუნიციპალიტეტში მრავალწლიანი კულტურების საერთო ფართობის 10.5% -ს შეადგენს.

წარმოდგენილ მონაცემებში მოცემულია ასევე ნაკვეთები, რომლებიც დამუშავდა აჭარაში „ენპარდის“ პროგრამის ფარგლებში, რაც მუნიციპალიტეტში 2014 წლიდან ხორციელდება.

[8]აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრობიზნესის განვითარების განყოფილება, 2018.

მრავალწლიანი კულტურების შესახებ მონაცემების გრაფიკული გამოსახულება გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას:

გრაფიკი 9



მონაცემების მიხედვით, მრავალწლოვანი კულტურების მოყვანის ინტერესი ყველაზე შესამჩნევია შემდეგ თემებში: დეკანაშვილები, დიოკნისი, ვაშლოვანი, რიყეთი და სხალთა. თუმცა, დეკანაშვილების თემში მზარდი ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ ამ ადგილზე თავმოყრილია თითქმის ყველა დანარჩენი 4 თემის მაჩვენებლებიც.

კენკროვანი კულტურების წარმოების საკითხი ცალკე უნდა იქნეს განხილული. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროპროექტებისა და საინფორმაციო მომსახურების განხორციელების სამმართველოს წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მუნიციპალიტეტში კენკროვანი კულტურების წარმოება მხოლოდ 2013 წელს დაიწყო. დღესდღეობით, მოცვისა და ჟოლოს კულტურები გაშენებულია 110 ოჯახის მიერ 2.03 ჰა საერთო მიწის ფართობზე, საიდანაც ჟოლო მოიცავს 0,4 ჰა-ს, ხოლო მოსცვი - 1,9 ჰა-ს. ჟოლოს მთავარი მწარმოებელია დიოკნისის თემში მდებარე სოფელ დიოკნისის მკვიდრი გურამ ძირკვაძე; მის მიერ კულტივირებული კულტურების ფართობი 0.1 ჰექტარს შეადგენს. გურამ ძირკვაძე ასევე ზრდის ჟოლოს ნერგებს გადაყიდვისთვის. ჯერჯერობით ჟოლოს ნაყოფი არ გამოუღია, თუმცა როგორც გურამ ძირკვაძე ამბობს, 2017 წელს მან მიიღო 700 კგ ჟოლოს პროდუქცია და 2018 წელს მოსავალი 2 ტონა იქნება. მთელ თემში ჟოლოს პროდუქცია 2018 წლისთვის 4 ტონას შეადგენს.

შედარებისთვის, მე-15 ცხრილში მოცემულია მრავალწლოვანი (კაკალი, მოცვი) და ერთწლოვანი (კარტოფილი) სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციის საშუალო მოგება 1 ჰა ფართობზე.

ცხრილი 15

მრავალწლოვანი კულტურები	პროდუქცია 1 ჰა-ზე (ტ)	საბითუმო ფასი ტ/ლარი	შემოსავალი გაყიდულიდან	პროდუქციის ფასი 1 ჰა-ზე	საშუალო მოგება 1 ჰა-ზე
კაკალი	4,5	10000	45000	3644	41356
მოცვი	8	7000	56000	4783,5	51216,5
კარტოფილი	25	600	15000	5075,4	9924,6

გრაფიკში მოცემულია კარტოფილის, მოცვისა და კაკლის კულტურების ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება (გრაფიკი 10).

გრაფიკი 10



ციფრები გვიჩვენებს, რომ მრავალწლოვანი კულტურების (კაკალი, მოცვი) პროდუქციიდან საშუალო მოგება უფრო მაღალია, ვიდრე კარტოფილის პროდუქციიდან მიღებული საშუალო მოგება. თუმცა, ეს კალკულაცია არ მოიცავს მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანისთვის განსაზღვრულ ერთჯერად (კაკლის შემთხვევაში, კულტივაციის ხარჯები შეადგენს საშუალოდ 12 000 ლარს) და სასოფლო-სამეურნეო/ტექნიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე იმ დროის ხარჯებს, სანამ მცენარე ნაყოფს გამოიღებს (საშუალოდ 4 000 ლარი წელიწადში). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გრძელ ვადაში, როდესაც ბაღი კულტივირებულია და კულტურები ნაყოფს გამოიღებენ, იგივე ხარჯების გაწევით, რაც კარტოფილის პროდუქციისთვის არის საჭირო, მრავალწლოვანი კულტურებიდან მიღებული მოგება ბევრად მაღალია.

აქედან გამომდინარე, მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა შედარებით გრძელვადიანი პროცესია, რომელიც მოითხოვს დიდ ფინანსურ რესურსებს, რაც შესაბამისად, დიდად მიმზიდველი არ არის ოჯახური მეურნეობებისთვის, რადგან მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი.

2.4. მეცხოველეობა

აჭარაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს და ყველაზე ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ეკონომიკური მომგებიანობის გათვალისწინებით, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება აჭარის მთიან რეგიონში, განსაკუთრებით კი ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ყოველთვის წამყვან საქმიანობას წარმოადგენდა.
მეცხოველეობის პროქტების წარმოება დამყარებულია ისეთ მნიშვნელოვან პროდუქტებზე როგორიცაა, ყველი და ხორცი, ასევე მსუბუქი და კვების მრეწველობის ნედლეულის დიდ წყაროზე. ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ისევ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და კულტურულ როლს ასრულებს სოფლად მცხოვრებ მრავალრიცხოვან თემებში.
ინფორმაცია ხულოს მუნიციპალიტეტის თითოეულ თემში არსებული მსხვილფეხა საქონლის სულადობის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველყოფილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროპროექტებისა და საინფორმაციო მომსახურების განხორციელების სამმართველოს სპეციალისტის მიერ და მოცემულია ცხრილში 16.

ცხრილი 16[9]

#	ადმინისტრაციული ერთეული	მსხვილფეხა რქოსანი საქონელი		ცხვარი	თხა
		სულ	მათ შორის უშობელი		
1	ღორჯომი	4990	2762	5	
2	დეკანაშვილები	2818	1802	5	
3	ვაშლოვანი	1578	761	2	5
4	დიოკნისი	3715	1594	17	
5	სხალთა	2816	1361	34	19
6	რიყეთი	2634	1147	78	45
7	ფუშრუკაული	1187	555	12	6
8	ხიხაძირი	1228	630	30	24
9	საციხური	1039	535		15
10	თხილვანა	1225	543		1
11	დიდაჭარა	2479	1602		
12	აგარა	910	347		
13	დაბა ხულო	21	12		
	სულ	**26640**	**13651**	**183**	**115**

[9]აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტროს ხულოს დეპარტამენტის განვითარებისა და ინფორმაციის სამსახური, 2018; ანალიზი შესრულებულია მკვლევარების მიერ.

შემდეგ გრაფიკში გამოსახულია ხულოს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის პირუტყვის პროცენტული მაჩვენებლები.

გრაფიკი 11



მაჩვენებლების მიხედვით, ცხვრებისა და თხების რაოდენობა მუნიციპალიტეტში არ აჭარბებს მთელ მუნიციპალიტეტში არსებული პირუტყვის საერთო რაოდენობის 1%-ს (შესაბამისად, 183 ცხვარი და 115 თხა). აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ეფექტურობის ანალიზისა და კვლევისთვის გასათვალისწინებელია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქციის მაჩვენებლები, რაც მუნიციპალიტეტში ყველაზე პრიორიტეტულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტში არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო რაოდენობიდან 13 651 არის უშობელი (ცხრილი 1). მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში უშობლების რაოდენობა მოცემულია შემდეგი გრაფიკის სახით:

გრაფიკი 12



მონაცემების მიხედვით, მსხვილფეხა პირუტყვში უშობლების რაოდენობა შეადგენს 51%-ს; თავის მხრივ, ეს ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ხულოში ოჯახური მეურნეობები, რომლებიც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას ეწევიან, ორიენტირებას ახდენენ რძის პროდუქტებზე.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის განაწილება თემებში ასახულია შემდეგ გრაფიკში:

გრაფიკი 13



ანალიზის განხორციელებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, განისაზღვროს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (უშობლების ჩათვლით) და სათიბი დანიშნულების მიწების/საძოვრების ფართობები თითოეული თემის ოჯახურ მეურნეობებთან მიმართებაში. ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში 17.

ცხრილი **17**[10]

#	ადმინისტრაციული ერთეული	ოჯახური მეურნეობების რაოდენობა	მსხვილფეხა საქონელი (სულ)	მათ შორის		მსხვილფეხა საქონლის საშუალო რაოდენობა ერთ ოჯახურ მეურნეობაზე	უშობელის საშუალო რაოდენობა ერთ ოჯახურ მეურნეობაზე	სათიბი მიწებისა და სამოვრების საერთო ფართობი	მათ შორის				სათიბი მიწები და სამოვრები ერთ ოჯახურ მეურნეობაზე (ჰა)	სათიბი მიწებისა და სამოვრების საშუალო ფართობი ერთ ოჯახურ მეურნეობაზე (ჰა)
				მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა ფაბრეში	უშობელი				სათიბი მიწების საერთო ფართობი	მათ შორის		სამოვრების საერთო ფართობი		
										3-4 კმ-ით დაშორებული სახლიდან	სახლთან ახლოს			
1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**	**11**	**12**	**13**	**14**	**15**
1	დაბა ხულო	401	21	9	12	0	0	1	1	0	1	0	0,0	0,0
2	დეკანაშვილები	1797	2818	1016	1802	2	1	2551	571,5	546	25,5	1954	1,4	0,9
3	ვაშლოვანი	946	1578	817	761	2	1	992	144	124	20	828	1,0	0,6
4	ხიხაძირი	462	1228	598	630	3	1	1084	311	297	14	759	2,3	0,9
5	თხილვანა	439	1225	682	543	3	1	1422	213	202	11	1198	3,2	1,2
6	დიოკნისი	1229	3715	2121	1594	3	1	1915	621	586	35	1259	1,6	0,5
7	საციხური	331	1039	504	535	3	2	861	224	214	10	627	2,6	0,8
8	აგარა	232	910	563	347	4	1	802	219	212	7	576	3,5	0,9
9	ფუშკურაული	290	1187	632	555	4	2	705	213	204	9	483	2,4	0,6
10	დიდაჭარა	605	2479	877	1602	4	3	1894	406	389	17	1471	3,1	0,8
11	სხალთა	627	2816	1455	1361	4	2	807	118	93	25	664	1,3	0,3
12	რიყეთი	567	2634	1487	1147	5	2	1223	239	218	21	963	2,2	0,5
13	ღორჯომი	827	4990	2228	2762	6	3	5143	891	862	29	4223	6,2	1,0
სულ		**8753**	**26640**	**12989**	**13651**	**4**	**2**	**19400**	**4171,5**	**3947**	**224,5**	**15005**	**2,4**	**0,7**

საშუალო არითმეტიკული, მედიანა და მოდა მეთოდები გამოყენებულ იქნა ერთ ოჯახურ მეურნეობაზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საშუალო რაოდენობის განსაზღვრის მიზნით. კონკრეტულად:

- საშუალო არითმეტიკული - ხულოს მუნიციპალიტეტში თითოეული თემის მიხედვით მსხვილფეხა საქონლის საშუალო რაოდენობა ერთ ოჯახზე 2-იდან 6 სულამდე მერყეობს, რომლის საშუალო არითმეტიკული შეადგენს 4-ს. შესაბამისად, ხულოს მუნიციპალიტეტში მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა ერთ ოჯახზე საშუალოდ შეადგენს 4 სულს;
- მედიანა – აღნიშნული მეთოდის მიხედვით, მსხვილფეხა საქონლის საშუალო რაოდენობა მუნიციპალიტეტის ერთ ოჯახზე შეადგენს 3 სულს;

[10] [10]აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტროს ხულოს დეპარტამენტის განვითარებისა და ინფორმაციის სამსახური, 2018; ანალიზი შესრულებულია მკვლევარების მიერ.

ანალიზის მიხედვით ხულოს მუნიციპალიტეტში მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა ერთ ოჯახზე შეადგენს საშუალოდ 3-იდან 4 სულს. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ ფიქსირდება საშუალო არითმეტიკულ, მედიანა და მოდა მეთოდების შედეგებს შორის. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ მუნიციპალურ დონეზე იშვიათია ისეთი გამონაკლისები, როცა ოჯახები ფლობენ დიდ სასაქონლე მეურნეობებს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუნიციპალიტეტში არ არიან ოჯახები, რომლებსაც შედარებით დიდი სასაქონლე მეურნეობები (35 სულზე მეტი) აქვთ.

შემდგომი ანალიზისა და კალკულაციის მიზნით მსხვილფეხა საქონლის საშუალო რაოდენობად ერთ ოჯახზე გათვალისწინებულია 4 სული.

ხულოს მუნიციპალიტეტი, როგორც მაღალმთიანი ზონა, ხასიათდება გრძელი ზამთრის პერიოდებით. ამ სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მესაქონლეებს ყოველწლიურად ესაჭიროებათ ცხოველების საკვები ბაგები 5-თვიანი პერიოდისთვის, რაც მოითხოვს მუდმივ ხელმისაწვდომობას საკვების მარაგებზე. ამ მიზნით, ფერმერებმა უნდა შეიძინონ მარაგები მუნიციპალიტეტის გარეთ (ძირითადად კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში) – საშუალოდ 50-55 კგ დაპრესილი თივა ერთ სულ საქონელზე, რაც შეადგენს 250 ერთეულს ერთ ოჯახურ მეურნეობაზე. თუმცა, ფერმერები უმეტესად საქონლის საკვებს ამზადებენ საკუთარი რესურსების გამოყენებით (სათიბი სასოფლო-სამეურნეო მიწები). პირუტყვის კომბინირებული საკვები იშვიათად გამოიყენება მუნიციპალიტეტში, რაც პროდუქტიულობის ზრდის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს.

ხულოს მუნიციპალიტეტში ოჯახური მეურნეობები ფლობენ სათიბი მიწების შედარებით მცირე ფართობებს საკუთარ სახლებთან ახლოს (კარმიდამო); შედარებით დიდი სათიბი მიწები მდებარეობს დასახლებული პუნქტებიდან 3-5 კმ-ში. რაც შეეხება საძოვრებს, ასეთი მიწები რეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრებად. თუმცა, საძოვრების ფაქტობრივი ბენეფიციარები არიან თემები, რომლებიც ტრადიციულად (ისტორიულად) ინაწილებენ და იყენებენ აღნიშნულ მიწებს.

მომთაბარე მესაქონლეობა წარმოადგენს მეცხოველეობის ტრადიციულ ფორმას ხულოს მუნიციპალიტეტში. ზაფხულის სეზონზე საქონელს მწყემსავენ იმისათვის, რომ მოხდეს ახალი საძოვრების აღმოჩენა მთებში, სადაც ძირითადად რძის პროდუქტები და პირადი მოხმარების ზამთრის მარაგები იწარმოება. მაგალითად, მომთაბარე მესაქონლეები მნიშვნელოვანია, ფლობდნენ ორი თაობის ოჯახურ მეურნეობებს (საქმის გაყოფა). ამ ტიპის ოჯახურ მეურნეობებში იგულისხმება: ძველი თაობა ანუ უფროსები მიდიან მთებში ცხოველების მოსავლელად და ახალგაზრდა თაობა რჩება სახლში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის უზრუნველსაყოფად.
ოჯახური მეურნეობისთვის სათიბი მიწებისა და საძოვრების სასოფლო-სამეურნეო რესურსები წარმოადგენს ცხოველთა პროდუქტების წარმოების მთავარ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობად განსაზღვრის, ასევე სასაქონლე მეურნეობის მასშტაბის (პროდუქტიულობა) დაგეგმვის ძირითად ფაქტორებს.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, განხორციელდეს ოჯახურ მეურნეობებში მესაქონლეობისთვის საჭირო რესურსების ანალიზი სათიბ მიწებსა და საძოვრებთან მიმართებაში. აღნიშნული ინფორმაცია ასახულია სვეტებში 9-15 ცხრილში 17. უფრო მეტი

თვალსაჩინოებისთვის, მონაცემები თითოეულ თემზე გამოხატულია გრაფიკულად გრაფიკში 14.

გრაფიკი 14



თითოეული თემის გათვალისწინებით ხულოს მუნიციპალიტეტში ცხოველთა პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობის, ასევე მესაქონლეობისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსების მონაცემებისგან. ამ თვალსაზრისით, ღორჯომის თემი ლიდერობს; აქ თითოეული კომპონენტის მაჩვენებელი უფრო მაღალია დანარჩენი თემების ინდიკატორებზე ან მათი თანაბარია. მონაცემების მიხედვით, შემდეგი წამყვანი ადგილი დეკანაშვილების თემს უჭირავს, რომელიც ფლობს 2 552 ჰა სათიბ მიწებსა და საძოვრებს, თუმცა 50%-ით ჩამორჩება ღორჯომის თემს. დეკანაშვილების მსგავსად, როგორც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისთვის საჭირო შედარებით საკმარისი რაოდენობის რესურსების მფლობელები, შემდეგნი სიაში არიან: დიოკნისის, დიდაჭარას, თხილვანას, რიყეთის და ხიხაძირის მუნიციპალიტეტები, სადაც სათიბი მიწებისა და საძოვრების ფართობები მერყეობს 1000 და 2000 ჰა-ს შორის.

თემებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კონტრასტული განაწილების მაჩვენებლების (20-იდან 4990 სულამდე) განმსაზღვრელი ფაქტორების დასადგენად წარმოდგენილია გრაფიკი, რომელიც გამოსახავს პირუტყვის რაოდენობასა და სათიბ-საძოვრების ფართობებს შორის პროპორციულ თანაფარდობას.

გრაფიკი 15



გრაფიკში მოცემული მსხვილფეხა საქონლის მაჩვენებლები ერთ თემზე დახარისხებულია ზრდის მიხედვით. მსხვილფეხა საქონლის რაოდენობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა დაბა ხულოში, ხოლო ყველაზე მაღალი - ღორჯომის თემში. აღსანიშნავია, რომ დიაგრამა ასევე ასახავს სათიბ-საძოვრების ფართობების ეტაპობრივ ზრდას, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ზრდა სრულად პროპორციული არ არის. დეტალური ანალიზისთვის, გასათვალისწინებელია შემდეგ პრინციპზე დაფუძნებული საკითხი: 1 სულ საქონელზე - 1 ჰა სათიბ-საძოვარი.

მონაცემების ანალიზის შედეგად, თემები შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად. ქვემოთ მოცემულია თითოეული ჯგუფის აღწერა:

1. **1 ჯგუფი – ფუშრუკაული, ვაშლოვანი, დიდაჭარა, რიყეთი, სხალთა, დიოკნისი -** აქ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე თემში ხელმისაწვდომი სათიბ-საძოვრების ფართობი. აღნიშნული დიდი განსხვავება ასევე აღმოჩენილია სხალთის, დიოკნისის და რიყეთის თემებში. ციფრები მიუთითებს, რომ სათიბ-საძოვრების ფართობი, რომელსაც ზემოთ აღნიშნული თემები იყენებენ, ბევრად შეუთავსებელია იგივე თემებში არსებული ოჯახური მეურნეობების საკუთრებაში მყოფი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობასთან. გასათვალისწინებელია, რომ მეცხოველეობა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ამ თემებში. შესაბამისად, მიზანშეწონილია, მიღებულ იქნეს ზომები მსხვილფეხა პირუტყვისთვის საკმარისი საკვების უზრუნველსაყოფად მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი განვითარების მიზნით, რისი მიღწევაც შესაძლებელია მეცხოველეობის ფერმებში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ეტაპობრივი ცვლილებების დანერგვითა და განვითარებით;

2. **2 ჯგუფი – აგარა, საციხური, ხიხაძირი და დეკანაშვილები** – აქ, ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით, სათიბ-საძოვრების ფართობსა და მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობაში შედარებით პროპორციული თანაფარდობაა;

3. **3 ჯგუფი - ღორჯომი და თხილვანა** - აქ, სათიბ-საძოვრების რესურსები აჭარბებს მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობას შესაბამის თემებში, რაც მეცხოველეობის განვითარების პოტენციალზე მიუთითებს.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განვითარდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რომელიც ძირითადად ფოკუსირებული იქნება ღორჯომის, დეკანაშვილების, დიოკნისისა და დიდაჭარის თემებზე. მეცხოველეობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საქონლის სადგომების უზრუნველყოფა და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებთან შესაბამისობა.

სიტუაცია ამ კუთხით კრიტიკულია. კერძოდ:

ფერმერებთან შეხვედრების დროს მუნიციპალიტეტებში, ოჯახური მეურნეობების შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ საქონლის სადგომები (იშვიათი გამონაკლისებით) არ შეესატყვისება დადგენილ სტანდარტებს, ასევე ფერმერები ნაკლებად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობას.

„სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD-აჭარა)“ ფინანსური მხარდაჭერით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „აგროსერვის ცენტრი“ 2012 წლიდან ატარებს ხელოვნური განაყოფიერების პროცედურებს მესაქონლეობის განვითარების ხელშეწყობისთვის.
ამ მიზნით, ხულოს მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა 3 სათემო ჯგუფი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. ესენია: 1. დიდაჭარა-ღორჯომის ჯგუფი (სადგური), რომელიც ემსახურება ცხოველთა პროდუქტების მწარმოებელ საოჯახო მეურნეობებს დიდაჭარაში, აგარაში, საციხურსა და ღორჯომის თემებში. 2. დაბა ხულოს ჯგუფი (სადგური), რომელიც ემსახურება საოჯახო მეურნეობებს დაბა ხულოს, დეკანაშვილების, ვაშლოვანის, დიოკნისის, რიყეთის თემებს. 3. ხიხაძირის ჯგუფი (სადგური), რომელიც მომსახურებას უწევს საოჯახო მეურნეობებს ხიხაძირის, თხილვანას, ფუშკურაულისა და სხალთას თემებს. 2018 წლამდე ხულოს მუნიციპალიტეტში ჩატარებულია 934 ხელოვნური განაყოფიერების პროცედურა (წარმოდგენილია მხოლოდ დადებითი შედეგები). ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით მაჩვენებლების თანაფარდობა წარმოდგენილია ქვემოთ გრაფიკში:

გრაფიკი 16



როგორც მონაცემებიდან ჩანს, ამ შემთხვევაშიც დიდაჭარა-ღორჯომის ჯგუფის (სადგური) თემების ინდიკატორი ყველაზე მაღალია, მას მოსდევს დაბა ხულოს ჯგუფის (სადგური) მომსახურების არეალი. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში განხილული დაბა ხულო იგივე არ არის, რაც ხულოს თემი; ჯგუფის სახელი გამომდინარეობს მხოლოდ მისი მდებარეობიდან (სადგური). მეორე ჯგუფის ფარგლებში ძირითადი სამუშაოები ჩატარებულია დეკანაშვილების, დიოკნისის და რიყეთის თემებში.

აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში ღორჯომის, დეკანაშვილების, დიოკნისისა და დიდაჭარის თემებს უპირატესი პოზიციები უჭირავთ მეცხოველების პროდუქტების წარმოებაში.

ვეტერინარული მომსახურება ხულოს მუნიციპალიტეტში ძალიან დაბალ დონეზეა. გასული წლების განმავლობაში ამ კუთხით მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები

განხორციელდა, თუმცა ეს საკმარისი არ არის არსებული საჭიროებების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, მხოლოდ 2017 წლის ბოლოს „კერძო ვეტერინარიის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური დახმარებით განხორციელდა, ვეტერინარული კავშირისთვის გადაცემის მიზნით აშენდა და განვითარდა ვეტერინარული კლინიკა. ხულოს მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის არსებული ბუნებრივი, კლიმატური და ასევე გარემო პირობების გათვალისწინებით ვეტერინარული კლინიკა, რომელიც მდებარეობს დაბა ხულოს ადმინისტრაციული ერთეულის ზონაში ვერ უზრუნველყოფს ვეტერინარულ მომსახურებაზე საკმარის წვდომას.

2.5. საძოვრების მართვა

ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ფართობიდან 15 005 ჰა უჭირავს საძოვრებს, რაც საერთო სასოფლო სამეურნეო მიწების (21691 ჰა მუნიციპალიტეტის მასშტაბით) 69%-ს შეადგენს.

საძოვრების ფართობის პროცენტული მაჩვენებელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დანარჩენ სასოფლო-სამეურნეო მიწებთან მიმართებაში წარმოდგენილია ქვემოთ გრაფიკში.

გრაფიკი 17



საძოვრების აბსოლუტური უმრავლესობა მდებარეობს სუბალპურ და ალპურ ზონებში, რომლებიც დაფარულია თოვლით მთელი აპრილის და მაისის თვეების განმავლობაში. აქედან გამომდინარე, კვლევის პერიოდში ვერ მოხერხდა ლანდშაფტზე დაკვირვება.

მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია ხულოს მუნიციპალიტეტში; ეს გამომდინარეობს მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომი საძოვრების წყაროებიდან. მეცხოველეობაში ჩართული ოჯახური მეურნეობები ამკვიდრებენ მომთაბარე მესაქონლეობის პრაქტიკას. კერძოდ, ხდება ცხოველების შეგროვება და მთებში გაყვანა ზაფხულის პერიოდში სექტემბრის მეორე დეკადამდე.

შესაბამისად, საძოვრების მდგომარეობა და მათი სათანადო ექსპლუატაცია მნიშვნელოვნად განაპირობებს მესაქონლეობის ეკონომიკურ ეფექტურობას.

წინამდებარე ანალიზი ძირითადად ემყარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ანგარიშს, რომელიც შემუშავებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე სუბალპური და ალპური ზონების ბიომრავალფეროვნების სახეობების მონიტორინგის, საცხოვრებელი ადგილის მოშლისა და ნიადაგის დაცვის მაჩვენებლების შედეგების საფუძველზე. აღნიშნული მონიტორინგი განხორციელდა **სარიჩაირი-ბაკოს, თხილვანას, ღრმანის, თეთრობის, ბეშუმის, გოდერძის, რიყეთის, დიდაჭარისა** და **ვაშლოვანის** მთებში.

მონიტორინგის საფუძველზე მომზადებული ანგარიშის დასკვნების მიხედვით ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებისა და კლიმატური ცვლილებების შედეგად გამოვლინდა დიდი მასშტაბით მიწის დეგრადაციის შემთხვევები. მიწის დეგრადაციის მასშტაბების შემცირების მიზნით ფოკუსირება უნდა მოხდეს სუბალპურ და ალპურ ზონებში სასოფლო-სამეურნეო მიწის დეგრადაციის გამომწვევი მიზეზების კვლევაზე. არსებული სიტუაცია ნათლად ასახავს იმ ფაქტს, რომ სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწების ნიადაგის საფარის ინტეგრაცია, ნიადაგის ნაყოფიერების ზრდა და მდგრადობა სუბალპურ და ალპურ ზონებში. ფინანსური რესურსების სიმწირის გამო დეგრადაციის პროცესის წინააღმდეგ მინიმალური ზომების გატარებაც კი ვერ ხერხდება. მიწების დეგრადაციის ძირითადი მიზეზებია: მჭიდრო დასახლებები, არასათანადო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, საძოვრებზე საქონლის (ნახირი და ფარა) ჭარბი რაოდენობა, ბალახის სახეობების ცვლილება, გადაძოვების შედეგად მიყენებული ზიანი, წარსულში ტყეების უკანონო ჩეხვა და კლიმატური ცვლილებები. უკანასკნელი სამი დეკადის განმავლობაში სუბალპურ და ალპურ ზონებში კლიმატურმა ცვლილებებმა უკვე თვალსაჩინო ზემოქმედება მოახდინა გარემოზე. უარყოფითი ზემოქმედების შედეგია ასევე ტემპერატურული ცვლილება, მომატებული ნალექები, გვალვების სიხშირე, წყლის ეროზია, სხვა ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორები.

აქედან გამომდინარე, ანგარიშის მიხედვით საძოვრების მენეჯმენტის სისტემა არ ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტში და მისი ექსპლუატაცია მიმდინარეობს არასისტემური სახით, რაც შედეგად სასოფლო-სამეურნეო მიწების დეგრადაციას იწვევს და აფერხებს მეცხოველეობის განვითარებას.

3. დასკვნა

ხულოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის ზოგადი მიმოხილვა

ხულოს მუნიციპალიტეტი ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაკლებობითა და მიწების ფრაგმენტაციით. საშუალოდ, ერთი ოჯახური მეურნეობისთვის ხელმისაწვდომია სამეურნეო მიწების 0.31 ჰა, რაც წარმოდგენილია რამდენიმე მცირე მიწის ნაკვეთით. შედარებით დიდია სათიბი მიწების ფართობები, რაც დაახლოებით 0.5 ჰა-ს შეადგენს ერთ ოჯახურ მეურნეობაზე. ზემოთ აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების რესურსები მუნიციპალიტეტში საგრძნობლად შეზღუდულია.
მიწების განაწილება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიხედვით: სამეურნეო მიწების საერთო ფართობი - 2 445.7 (11%) ჰა, მრავალწლოვანი კულტურები - 69.8 (1%) ჰა (ნახევრად ინტენსიური ბაღები), სათიბი მიწები – 4 171 (19%) ჰა და საძოვრები - 15 005 (69%) ჰა.

მიწების სტრუქტურული განაწილება და მაღალ სიმაღლეზე (ზღვის დონიდან 400-2050 მ-ზე ზემოთ) გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს შესაბამისი ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებას მუნიციპალიტეტში, როგორიცაა: კარტოფილის წარმოება, მეცხოველეობა და სიმინდის მოყვანა.

მუნიციპალიტეტში ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით მიღებული ზომები მინიმალურია. მიწების ნაკლებობიდან გამომდინარე, კულტურების თესლბრუნვის მეთოდის გამოყენება პრობლემას ქმნის, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს პროდუქტიულობას.

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა პროდუქცია ძირითადად ორიენტირებულია კარტოფილისა და სიმინდის წარმოებაზე; რას შეეხება სასოფლო-სამეურნეო ცხოველებს - მოსახლეობა პრიორიტეტს მსხვილფეხა პირუტყვის მოშენებას ანიჭებს. კულტურების მოშენების თუ მეცხოველეობის კუთხით, ორივე შემთხვევაში, ოჯახური მეურნეობები მისდევენ სოფლის მეურნეობის საქმიანობის „ტრადიციულ“ მიმართულებას.

თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა ეტაპობრივად ვითარდება; ორივე მიმართულება, როგორც კულტურების მოშენება (ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურები), ასევე მესაქონლეობის განვითარება (ხელოვნური განაყოფიერება) ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ცვლილებები ოჯახური მეურნეობების სოციალურ და დემოგრაფიულ სტრუქტურებში - 5.1 კაცი ერთ ოჯახში, ტრადიციული ტიპის ორ-თაობიანი ოჯახების რღვევა, მიგრაციის შედარებით მაღალი მაჩვენებელი (ოჯახები და/ან ახალგაზრდა თაობა) გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ყველა სახეობაზე; დიდი ალბათობით, გრძელვადიან პერსპექტივაში (20-30 წელი) ეს გამოიწვევს ცვლილებებს პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (მეცხოველეობა, კარტოფილის მოყვანა) წარმოების პროცესებში და/ან მოახდენს არსებული პრაკტიკის ტრანსფორმირებას (მაგალითად, მომთაბარე მესაქონლეობა - „მომთაბარე“).

თემების მიხედვით პრიორიტეტული კულტურები

ერთწლოვანი კულტურები

მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა თემში კარტოფილისა და სიმინდის მოყვანა პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, თემებს შორის არსებობს განსხვავებები კარტოფილის მოყვანის ტრადიციებთან დაკავშირებით. პროდუქციის წარმოების მიხედვით ლიდერობენ დიოკნისისა და დეკანაშვილების თემები, რაც გამომდინარეობს ხელმისაწვდომი მიწების შედარებით დიდი ფართობებიდან და არსებული ბუნებრივი და კლიმატური პირობებიდან (სიმაღლე ზღვის დონიდან).

სათესლე და სანერგე მასალად ფერმერები თავდაპირველად იყენებენ ძველ და უცნობ ჯიშებს; აღნიშნული კარტოფილის თესლი მნიშვნელოვნად დაბალი პროდუქტიულობისაა, რაც საშუალოდ მხოლოდ 25 ტ მოსავალს იძლევა 1 ჰა-ზე.

2017 წლიდან დაწყებული აგროპროექტების მართვის ცენტრმა დაიწყო კარტოფილის მოშენების პროგრამის განხორციელება. შედეგად, 28.56 ჰა ფართობზე (კარტოფილის კულტურების მთლიანი ფართობის 2.4%) დაითესა მაღალი ხარისხის კარტოფილი, რომლის მოსავალმაც 1 ჰა-ზე საშუალოდ 30 ტ-ს მიაღწია, რაც 5 ტ-ით აჭარბებს უცნობი თესლისგან მოყვანილი კარტოფილის მოსავალს.

აგროტექნიკური საქმიანობის კუთხით (მიწის დამუშავება, ნიადაგის სასუქით გაფხვიერება, ა.შ.;) ფერმერების უნარების განვითარება და კარტოფილის წარმოების გაუმჯობესება პროდუქტიულობის გაზრდის მნიშვნელოვან პრიორიტეტებს წარმოადგენს, განსაკუთრებით დიოკნისის, რიყეთის, დეკანაშვილებისა და ღორჯომის თემებში.

მრავალწლოვანი კულტურები

ტრადიციულად ხეხილი გავრცელებულია საკარმიდამო და სათიბ მიწებზე. მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ფართობიდან 489 ჰა (2.25%) კულტივირებულია; 69.6 (0.3%) ჰა-ზე გაშენებულია ნახევრად ინტენსიური ბაღები.

ნახევრად ინტენსიური ბაღების კულტივაცია ძირითადად აგროპროექტების მართვის ცენტრის თანადაფინანსებით ხდება, თუმცა მცირე მასშტაბებს მოიცავს, რაც შედარებით მაღალი საინვესტიციო ხარჯებიდან და სხვა შესაბამისი ფაქტორებიდან გამომდინარეობს.

ფერმერთა ცოდნის დონე და უნარ-ჩვევები ნახევრად ინტენსიური ბაღების მოვლისა და პროდუქციის შენახვის/რეალიზების საკითხებში ძალიან დაბალია.

მეცხოველეობა

მეცხოველეობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ხულოს მუნიციპალიტეტში, რაც განპირობებულია ბუნებრივი, კლიმატური, გეოგრაფიული პირობებითა და სათიბ-საძოვარი მიწების შედარებით დიდი ფართობებით. მერძეული მიმართულება: 26 640 (13 651 უშობელი) სული პირუტყვი მუნიციპალიტეტში,

რაც ერთ ოჯახურ მეურნეობაზე დაახლოებით 3-4 სულ საქონელს გულისხმობს. მოსახლეობის ნაწილი მისდევს მომთაბარე მესაქონლეობას.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების პროცესი მუნიციპალიტეტში ძირითადად ტრადიციულ ხასიათს ატარებს და შესაბამისად, თანამედროვე ტექნოლოგიები იშვიათად გამოიყენება. თუმცა, ძალიან იშვიათად, მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად, შედარებით მოდერნიზებული ფერმები, სასოფლო-სამეურნეო მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა ტრაქტორი, სათიბი მოწყობილობა და მოტორიზებული კულტივატორი.

რძის პროდუქტები (ყველი, მაწონი, კარაქი, არაჟანი, ხაჭო, ყურუთი, ნადუღი) იწარმოება ოჯახებში ნორმების დაცვის გარეშე. პროდუქტების რეალიზება ძირითადად ხდება ადგილზე, ბათუმსა (ყველი, კარაქი) და მთიან კურორტებზე (ბეშუმი, გოდერძი, ბახმარო). წარმოების პროცესში ნაკლებად ხდება კვების უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი რძის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც რძეს იბარებს დიოკნისის, რიყეთის, დეკანაშვილების, ნაწილობრივ დიდაჭარისა და ღორჯომის თემებიდან.

საძოვრების მენეჯმენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დასკვნის თანახმად საძოვრები მასიურად განიცდის დეგრადაციას, რაც განპირობებულია არასათადო სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებებით. ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით არ გატარებულა არანაირი ზომები. კლიმატური ცვლილების უარყოფითად ზემოქმედების შედეგი გამოიხატება ტემპერატურული ცვლილების, მომატებული ნალექების, გვალვების სიხშირის, წყლის ეროზიის, სხვა ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების სახით, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერებაზე.

სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები

მუნიციპალიტეტში ასევე მისდევენ მეთევზეობას (მცირე რაოდენობით ფიქსირდება), რაც წარმოდგენილია წყალსატევებში კალმახისა და ორაგულის მოშენებით. ამ პრაქტიკის დამკვიდრება განაპირობა მეზობელ მუნიციპალიტეტში (ქედას მუნიციპალიტეტი) განვითარებულმა მეთევზეობამ. თანამედროვე ტექნოლოგიები იშვიათად გამოიყენება მეთევზეობაში. ამ ტიპის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შესაძლებელია შეფასდეს, როგორც შედარებით მაღალი პოტენციალის მქონე გამომდინარე მუნიციპალიტეტის წყლის რესურსებთან წვდომის შესაძლებლობიდან. შესაბამისად, ამ საქმიანობას ჭირდება ხელშეწყობა შემდგომი განვითარებისთვის.

კენკროვანი კულტურების ბაღები იშვიათია მუნიციპალიტეტში. მიუხედავად ამისა, ცხრა თემში პატარა ფართობებზე (0.02 ჰა) მაინც მოჰყავთ კენკროვანი კულტურები (მოცვი, ჟოლო). შესაბამისი სივრცის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია ფერმერებში კენკროვანი კულტურების კულტივაციის პრაქტიკის განვითარებისთვის. კენკროვანი კულტურების კულტივაციის პრაქტიკა პერსპექტიულია ნაყოფიერებისა და მომგებიანობის მხრივ, თუმცა გასათვალისწინებელია მალფუჭებადობის რისკი და ნაყოფის შენახვის საკითხები.

მუნიციპალიტეტში გავრცელებული ველურ კენკროვან კულტურებში ყველაზე მეტად გვხვდება მოცვი, რომლის ტრადიციულად შეგროვება და რეალიზება ხდება მოსახლეობის მიერ. ყოველწლიურად მოსახლეობა აგროვებს 50 ტ ველურ პირობებში გაზრდილ შტოშს. 4 თემის მოსახლეობის მხოლოდ ძალიან პატარა ნაწილია ამ საქმიანობაში ჩართული.

მუნიციპალიტეტში არ არსებობს არც ორგანიზაციული სისტემა და არც სატრანსპორტო შესაძლებლობები, ასევე შეგროვებული ხილის სათანადო პირობებში შენახვის, გამოშრობის (დაჩირების) და/ან შოკური გაყინვის არანაირი საშუალება, რომ არაფერი ვთქვათ ხილის გადამამუშავებელ საწარმოზე ხელმისაწვდომობაზე.

ადგილობრივი საწარმოები

ხულოს მუნიციპალიტეტში (დიოკნისის თემი) ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი რძის გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც დასაქმებულია 25 კაცი; ის იღებს და აწარმოებს 3.5-4 ტ რძეს. ქარხანაში რძის ჩაბარება ხდება 550-600 ოჯახური მეურნეობის მიერ დიოკნისის, როყეთის, დეკანაშვილების და ნაწილობრივ, დიდაჭარის თემებიდან.

4.რეკომენდაციები (სავარაუდოდ 4 მილიონი ევრო)

რეკომენდაციები ემყარება კვლევის შედეგებს და დასკვნებს; სავარაუდო ბიუჯეტი შესაძლოა გათვალისწინებული იქნეს ჩეხეთის კარიტასის სოფლის განვითარების პროექტის, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ.

ინტერვენციის მიზანი	ინტერვენცია	პასუხისმგებელი სააგენტო	ინტერვენციის შედეგი	რესურსები	რეკომენდაციის პერიოდი	5 წლის ბიუჯეტი (ევრო)
დოკუმენტები						
სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა	მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა სისტემატიზაცია, მეთოდოლოგიური გაუმჯობესება	აგროპროექტების განვითარების განყოფილება და ინფორმაციული სამსახური	გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მონაცემთა ბაზა	-ენპარდი III-სოფლის განვითარების პროგრამა (2018-2021) -სახელმწიფო ბიუჯეტი	საშუალოვადიანი	
სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია	ფერმერებს შორის მიწის რეგისტრაციის სარგებლობის მხარდამჭერი სპეციალური პროგრამები	საჯარო რეესტრი საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწების მზარდი რაოდენობა	მიწის რეგისტრაციის რეფორმა R/NAPR	მოკლევადიანი	
ინსტიტუტები						
1. სოფლის განვითარების დეპარტამენტი ა) მუნიციპალური განვითარების დეპარტამენტი ბ) აგრობიზნესის განვითარების განყოფილება 2. აგროპროექტების განვითარებისა და ინფორმაციული სამსახურის დეპარტამენტი 3. სოფლის მეურნეობის ლაბორატორია (სსიპ) 4. "აგროსერვისის ცენტრი" (ააიპ)	დეპარტამენტებსა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების დაზუსტება. გაეროს განვითარების პროგრამის მიერ 2017 წელს შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით სამუშაოთა აღწერილობების შემუშავება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	უფრო ეფექტური და ეფექტიანი სამინისტრო და ადამიანური რესურსების გაუმჯობესებული რაციონალური დაგეგმვა და მართვა	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	მოკლევადიანი	

ინტერვენციის მიზანი	ინტერვენცია	პასუხისმგებელი სააგენტო	ინტერვენციის შედეგი	რესურსები	რეკომენდაციის პერიოდი	5 წლის ბიუჯეტი (ევრო)
5.“აგროპროექტების მართვის ცენტრი“ ააიპ 6. სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი 7. პოლიტიკისა და ანალიზის დეპარტამენტი						
პოლიტიკისა და ინვესტირებისათვის პრიორიტეტული სექტორები (1 776 000)						
ერთწლიანი კულტურები						
1. კარტოფილის წარმოება						**287 000**
ტრეინინგები						
ბენეფიციარები	ტრეინინგი კარტოფილის წარმოებისათვის საჭირო აგროტექნიკურ საკითხებში	-აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო -საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas)	კარტოფილის წარმოების მზარდი პროდუქტიულობა	შესაბამისი სფეროების ექსპერტები	საშუალოვადიანი	100 000
ბენეფიციარები	ბიზნესის გეგმისა და მარკეტინგის მიმართულებები	-საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas)	კარტოფილის წარმოების მარკეტინგული და ბიზნესის სისტემების გაუმჯობესება	საკონსულტაციო კომპანიები	საშუალოვადიანი	100 000
მაღალი ხარისხის სათესლე მასალების განაწილება						
1. კარტოფილის თესლები	1. მაღალი პროდუქტიულობის კარტოფილის ჯიშების განაწილება	აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, FAO, Caritas) სურსათის ეროვნული სააგენტო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევის ცენტრი	კარტოფილის პროდუქტიულობის მზარდი წარმოება	შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების ფინანსური რესურსები	მოკლევადიანი	80 000 ევრო
2. მაღალი პროდუქტიულობის	მაღალი ხარისხის თესლის წარმოების	აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ადგილობრივი მაღალი	კარტოფილის წარმოება	მოკლევადიანი	7 000 ევრო

ინტერვენციის მიზანი	ინტერვენცია	პასუხისმგებელი სააგენტო	ინტერვენციის შედეგი	რესურსები	რეკომენდაციის პერიოდი	5 წლის ბიუჯეტი (ევრო)
კარტოფილის ჯიშების ცენტრი	შესაძლებლობების დადგენის კვლევა	საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas Czech Republic) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი	პროდუქტიულობის სათესლე მასალების წარმოების შესაძლებლობიოს განსაზღვრა	ექსპერტები მარკეტინგის ექსპერტები ბიზნესის დაგეგმარების ექსპერტები		
2. ნივრის წარმოება						**207 000**
ტრეინინგები						
ბენეფიციარები	ტრეინინგი ნივრის წარმოებისათვის საჭირო აგროტექნიკურ საკითხებზე	- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	ნივრის მზარდი წარმოება	შესაბამისი სფეროების ექსპერტები	საშუალოვადიანი	100 000
ბენეფიციარები	ბიზნეს გეგმისა და მარკეტინგის მიმართულებები	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas Czech Republic)	ნივრის წარმოების მარკეტინგული და ბიზნეს სისტემების გაუმჯობესება	საკონსულტაციო კომპანიები	საშუალოვადიანი	100 000
კვლევაი		-				
ნივრის წარმოების მარკეტინგი	ნივრის წარმოების ღირებულების ჯაჭვის შესწავლა	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas Czech Republic)	ხელმისაწვდომობის გაზრდა ბაზარზე	საკონსულტაციო კომპანია/ ექსპერტი სექტორულ კვლევაში	მოკლევადიანი	7000
3.მრავალწლიანი კულტურები						**437 000**
ტექნიკა						
ნახევრად ინტენსიური ბაღი (კაკალი, თხილი და სხვა ხილის ბაღები)	ნახევრად ინტენსიური ბაღების კულტივირება	- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	კაკლის, თხილის და სხვა ხილის მზარდი წარმოება		გრძელვადიანი	400 000
შავი ქლიავის ნახევრად ინტენსიური ბაღი	შავი ქლიავის 20 სადემონსტრაციო ბაღის კულტივირება (1 ბაღი – 2000 კვ.მ)	- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas Czech Republic)	ფერმერებთან ცნობიერების ამაღლება შავი ქლიავის უპირატესობაზე	- საერთაშორისო ორგანიზაციები - შავი ქლიავის მწარმოებელი ფერმერები სხვა	მოკლევადიანი	7 000

ინტერვენციის მიზანი	ინტერვენცია	პასუხისმგებელი სააგენტო	ინტერვენციის შედეგი	რესურსები	რეკომენდაციის პერიოდი	5 წლის ბიუჯეტი (ევრო)
				მუნიციპალიტეტებიდან		
ტრეინინგი						
ბენეფიციარები	ტრეინინგი შავი ქლიავის წარმოებისათვის საჭირო აგროტექნიკურ საკითხებზე	- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	შავი ქლიავის წარმოების მხარდაჭერა	შესაბამისი სფეროს ექსპერტები	საშუალოვადიანი	30 000
4. კენკროვანი კულტურები						**225 000**
ტექნიკა						
ჟოლოსა და მოცვის სადემონსტრაციო ბაღები	ჟოლოსა და მოცვის 82 სადემონსტრაციო ბაღი (1500 კვ.მ)	- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	მოცვისა და ჟოლოს წარმოების პოპულარიზაცია	საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამთავრობო ინსტიტუტების დაფინანსება	საშუალოვადიანი	145 000
ტრეინინგები						
ბენეფიციარები	ტრეინინგი ჟოლოსა და მოცვის წარმოებისათვის საჭირო აგროტექნიკურ საკითხებზე	- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	ჟოლოსა და მოცვის წარმოების მხარდაჭერა	შესაბამისი სფეროების ექსპერტები	საშუალოვადიანი	80 000
5. თევზის მეურნეობა						**80 000**
ტექნიკა						
თევზის მეურნეობები	თევზის 5 მეურნეობის განვითარება (კალმახისა და ორაგულის მოშენება წყალსატევებში) სოფლებში: დეკანაშვილები და დიოკნისი	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	თევზის სადემონსტრაციო წყალსატევების მეურნეობა		საშუალოვადიანი	60 000
ტრეინინგი						
ფერმერი	ფერმერის მომზადება საკალმახე	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	საკალმახე მეურნეობის	იქთიოლოგი	საშუალოვადიანი	20 000

ინტერვენციის მიზანი	ინტერვენცია	პასუხისმგებელი სააგენტო	ინტერვენციის შედეგი	რესურსები	რეკომენდაციის პერიოდი	5 წლის ბიუჯეტი (ევრო)
	მეურნეობისათვის		განვითარების ხელშეწყობა			
6. მეფუტკრეობა						**200 000**
მეფუტკრეები (+40 სკა)	შეფუთვა, მარკეტინგი	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	თაფლის შეფუთვისა და მარკეტინგის გაუმჯობესებული სტანდარტები	ტრენერი/შესაფუთი მანქანა	საშუალოვადიანი	
თაფლოვანი მცენარეები	არსებული თაფლოვანი მცენარეების შესწავლა; ახალი თაფლოვანი მცენარეების დანერგვის პოტენციალის შესწავლა (განსაკუთრებით წაბლის ხის დაავადება)	UNDP, ჩეხეთის კარიტასი	ჩატარებული კვლევების თანახმად ახალი ტიპის თაფლოვანი მცენარეების შესახებ გადაწყვეტილების მიღება	შესაბამისი ექსპერტები	მოკლევადიანი	10 000
მეფუტკრეობის მეურნეობები	მცირე მეფუტკრეობის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	მცირე ზომის მეფუტკრეობის მეურნეობების განვითარება (50 სკა)	დონორი ორგანიზაციები	საშუალოვადიანი	165 000
ბენეფიციარები	ტრეინინგი მეფუტკრეობის უნარების განვითარებისთვის	- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	მეფუტკრეობა განვითარდა	შესაბამისი ექსპერტები	საშუალოვადიანი	
7. მესაქონლეობა						**340 000**
მეცხოველეობის ფერმა (30 სული)	ღორჯომში სადემონსტრაციო ფერმის აშენება	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	თანამედროვე სტანდარტების მიხედვით განვითარებული ფერმების პოპულარიზაცია	დონორი ორგანიზაციები	მოკლევადიანი	100 000
ტრეინინგი						

ინტერვენციის მიზანი	ინტერვენცია	პასუხისმგებელი სააგენტო	ინტერვენციის შედეგი	რესურსები	რეკომენდაციის პერიოდი	5 წლის ბიუჯეტი (ევრო)
ვეტერინარია	5 ვეტერინარის კვალიფიკაციის ამაღლება/გადამზადება	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	მეცხოველეობის სფეროში ჯანმრთელობის სტანდარტი გაუმჯობესებულია / დაავადების პრევენცია	დონორი ორგანიზაციები	მოკლევადიანი	40 000
რძის წარმოებისა და მიღების ქარხანა	რძის გადამუშავებისა და მიღების ქარხანა დეკანაშვილებში და სხვა თემში (მინიმუმ 2)	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	რძის რეალიზაციის/წარმოების მხარდაჭერა	დონორი ორგანიზაციები	საშუალოვადიანი	200 000
სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ძირითადი ტექნიკა, სათბურები და სასოფლო-სამეურნეო განათლება						**1 800 000**
საშუალო სკოლა	სოფლის მეურნეობის კურიკულუმის განვითარება და ინტეგრირება მუნიციპალიტეტის საშუალო სკოლებში	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas)	სასოფლო-სამეურნეო განათლება გაუნჯობესდა	მუნიციპალიტეტი, სკოლები, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები	გრძელვადიანი	
სათბური	სათბურების განვითარების პოტენციალის დადგენა/განსაზღვრა	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	სათბურების პოტენციალის განსაზღვრა	დონორი ორგანიზაციები	საშუალოვადიანი	
მრავალფუნქციური მოტორიზებული კულტივატორი თივის მოჭრის აგრეგატით (500 ც.)	მრავალფუნქციური მოტორიზებული კულტივატორის შეძენა (500 ც.)	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	ტექნიკური მოდერნიზაცია	დონორი ორგანიზაციები	საშუალოვადიანი	550 000
მრავალფუნქციური მოტორიზებული კულტივატორი ნიადაგის დამუშავების აგრეგატებით (400 ც.)	მრავალფუნქციური მოტორიზებული კულტივატორის შეძენა ნიადაგის დამუშავების აგრეგატებით	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	ტექნიკური მოდერნიზაცია	დონორი ორგანიზაციები	საშუალოვადიანი	600 000
რძის სატრანსპორტო მაცივარი და ბიდონები	რძის ტრანსპორტირების მაცივრისა და ბიდონების შეძენა (2 ცალი)	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	რძის წარმოების სისტემის განვითარება	დონორი ორგანიზაციები	საშუალოვადიანი	200 000
სასოფლო-სამეურნეო	სასოფლო-სამეურნეო	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP,	ტექნიკური	დონორი	საშუალოვადიანი	200 000

ინტერვენციის მიზანი	ინტერვენცია	პასუხისმგებელი სააგენტო	ინტერვენციის შედეგი	რესურსები	რეკომენდაციის პერიოდი	5 წლის ბიუჯეტი (ევრო)
ტექნიკა ნივრის დასათესად და მოსავლის ასაღებად	ტექნიკის შეძენა ნივრის დასათესად და მოსავლის ასაღებად	Caritas, DANIDA/IFAD)	მოდერნიზაცია	ორგანიზაციები		
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა კარტოფილის დასათესად და მოსავლის ასაღებად	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა კარტოფილის დასათესად და მოსავლის ასაღებად	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	ტექნიკური მოდერნიზაცია	დონორი ორგანიზაციები	საშუალოვადიანი	200 000
სერვის-ცენტრი სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციისათვის	სოფლის მეურნეობის მექანიზაციისთვის სერვის-ცენტრის ჩამოყალიბება	- საერთაშორისო ორგანიზაციები (UNDP, Caritas, DANIDA/IFAD)	ტექნიკური მოდერნიზაცია	დონორი ორგანიზაციები	საშუალოვადიანი	50 000

დანართები

დანართი 1. რესპონდენტების ჩამონათვალი

1. თამაზ შავაძე –თევზის მეურნეობა, სოფ. დიოკნისი
2. თენგიზ შავაძე-კარტოფილის წარმოება, სოფ. დიოკნისი
3. ნოდარ ქათამაძე- ვეტერინარი, სოფ. ღორჯომი
4. თემურ ირემაძე - მერის წარმომადგენელი, სოფ. ღორჯომი
5. დავით ხოზრევანიძე -მეცხოველეობა, სოფ. ღორჯომი
6. ემზარ ბოლქვაძე– ნახევრად-კომერციული ფერმერი, სოფ. დიდაჭარა (ფერმერი, რომელიც წარმოებულის 50% იტოვებს საკუთარი მოხმარებისთვის და დანარჩენს იყენებს შემოსავლის მიზნით)
7. გელა შავაძე-მეცხოველეობა, სოფ. დიდაჭარა
8. გოჩა მელაძე-ხულოს მუნიციპალიტეტის მერი
9. რესან ჩოგაძე -ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლის განვითარების მთ. სპეციალისტი
10. ჯამბულ აბულაძე-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროპროექტების დანერგვისა და ინფორმაციის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
11. ზურაბ ვარშანიძე- სოფლის მეურნეობის განვითარების/გაფართოების დეპარტამენტის უფროსი, აგრარული დეპარტამენტი
12. თემურ გობაძე-კარტოფილის წარმოება, ფერმერი
13. ჯუმბერ მგელაძე-ველური მოცვი წარმოება, ფერმერი

დანართი 2. განხილული დოკუმენტების ჩამონათვალი

1. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია (2017-2020)
2. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2015-2020)
3. სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკური მონაცემები ხულოს მუნიციპალიტეტსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.
4. სოფლის მეურნეობის საინვესტიციო შესაძლებლობების შეფასება და შესაბამისი საჭიროებების გაფართოება საქართველოში (2017)